ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 23 ივლისი, 2013 №172 (6173) ფასი: 30 თეთრი

## „ახალი თაობა“ 20 წლისაა

დღეს, 23 ივლისს, ზუსტად 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „ახალი თაობის“ პირველი ნომერი მკითხველის სამსჯავროზე წარდგა.

მთელი ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, მკითხველისთვის ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია მიგვეწოდებინა და არასდროს ვყოფილვართ არც ერთი ცალკე აღებული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გამტარებლები, რადგან ჩვენი მიზანი მთელი საქართველოს სამსახურში ყოფნა იყო.

დღეს ჩვენ გვინდა, მადლობა გადავუხადოთ „ახალი თაობის“ ყველა თანამშრომელს, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად იქმნება გაზეთის ყოველი ახალი ნომერი.

ასევე, დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ „ახალი თაობის“ ყველა მკითხველს, რომელთა გულწრფელი ინტერესი გაზეთის ყოველი ახალი ნომრისადმი დიდ ძალას გვმატებს.

დაბოლოს – გვინდა დავარწმუნოთ საქართველოს მოსახლეობა, რომ „ახალი თაობა“ ყოველთვის იდგება ქვეყნის სამსახურში!

გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქცია

# შალვა ნათელაშვილის მეუღლეს მოკვლით ემუქრებოდნენ

გვ.2



## სოსო ჯაჭვლიანი: „სააკაშვილი არის მაოხრებელი გზირი“

გვ.3



სახალხო კრება აშშ-ის ელჩისგან პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე შეფასებას ელის



## ამერიკის საელჩო სააკაშვილის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს

გვ.6

## კახა კუკავა: „ივანიშვილს ვიღაცამ უნდა უთხრას, რას უკეთებენ მისი გუნდის წევრები“

გვ.5






## გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებისგან „ქართულ ოცნებას“ საფრთხე არ ელოდება“

გვ.4

## რატომ უქმნის სააკაშვილი აფხაზეთის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს პრობლემებს

გვ.6






## მამუკა არეშიძე: „ვინ დაიჯერებს, რომ დავით ბაქრაძე წინა ხელისუფლების ქმედებების შესახებ საქმის კურსში არ იყო“

გვ.6




## შიდა ქართლში აღმოჩენილი სამალავიდან დიდი ოდენობით იარაღი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, შიდა ქართლის რეგიონში სამალავი აღმოაჩინეს.

სამალავიდან ამოღებულია დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა და ფეთქებადი ნივთიერება: 2 კილოგრამი ტროტილი, ყუმბარმტყორცნი „მუხა“, 2 ხელყუმბარა, ლულქვეშა ყუმბარმტყორცნის 18 ყუმბარა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1082 ვაზნა და 39 მჭიდი. საქმეზე გამოძიება სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385

2 აფთიაქებზე კონტროლი მკაცრდება

5 ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთი ბრალდებული გაათავისუფლეს

2 გიორგი მიქიაშვილის საქმე შეიძლება კვლავ სტრასბურგში წავიდეს

7 ვარსკვლავებს ექიმებიც ემსახურებიან

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი მიქიაშვილის საქმე შეიძლება კვლავ სტრასბურში წავიდეს

შორენა გონგლაძე

„დამნაშავე პოლიციელი“, ეს სიტყვა იმდენად ახლობელი და მშობლიური გახდა ჩვენთვის, რომ მის გარეშე ჩვენი ყოველდღიურობა წარმოუდგენელიც კია. დამნაშავე პოლიციელი შევარდნაძის მმართველობის დროს, დამნაშავე პოლიციელი სააკაშვილის დროს და დამნაშავე პოლიციელი დღეს, ეს იმ დროს, როდესაც დღეს პარლამენტში თუ სხვადასხვა თანამდებობებზე წამოსკუპული ადამიანები სწორედ ამ თემის სპეკულირებით მოხვდნენ იქ, სადაც წელიწად-ნახევრის წინ ყველაზე თამამ სიზმარშიც ვერ ნახავდნენ. სამწუხაროდ, ივანიშვილის ხელისუფლებას დაპირებული სამართლიანობის აღდგენა დაავიწყდა და თან ცდილობს, თავისი უნიათობა სააკაშვილის ჯერ კიდევ პრეზიდენტად ყოფნას დააბრალოს. რა თქმა უნდა, ეს საზოგადოების დაბოლების მორიგი მცდელობაა, რაც აშკარად არ გამოსდით, ფაქტია, რომ ბუტაფორიად ქცეული სააკაშვილი საფრთხეს არანაირად არ წარმოადგენს, თუმცა, პრობლემა პრობლემად რჩება და ყველაზე ცუდი ის არის, რომ უკანონობის პატრონი და გამკითხავიც არავინაა ქვეყანაში.

მერაბიშვილის ყველაზე სერიოზულ მიღწევად საპატრულო პოლიციის შექმნა ითვლება. ახალმა ხელისუფლებამ აშკარა მცდელობის მიუხედავად, საპატრულო პოლიციაში ვერაფერი შეცვალა გარდა მანქანებისა, რომელსაც დიდი ასოებით აწერია „ვემსახურებით საქართველოს“, თუმცა ვის და რას ემსახურება დღესაც საპატრულო პოლიცია და ამართლებს თუ არა სლოგანს, ამაზე გადამწყვეტი პასუხის გაცემა ნამდვილად გაჭირდება. როგორც წინა, ასევე დღევანდელი ხელისუფლების პერიოდში საპატრულო პოლიციის მხრიდან კანონდარღვევები იყო და მისი გამოსწორება დღემდევ ვერ ხერხდება.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ძალადობასა და უხეშობაში ადანაშაულებენ, ხოლო ამჟამინდელ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძალადეების მფარველობაში ბრალს სდებენ. ამგვარი განცხადებები გიორგი მიქიაშვილის საქმესთან მიმართებაში, ექსკლუზიურად „ახალი თაობისთვის“ ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ 2005-2006 წლებში მიქიაშვილის საქმე გახმაურებული საქმეებიდან ერთ-ერთი გახლდათ. 21 წლის გიორგი მიქიაშვილი სტუდენტი და პარალელურად ფეხბურთელი იყო, 2005 წლის ოქტომბერში პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით რომ დააპატიმრეს. ამ დროს მას ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ. მისი ცემა-წამება თბილისის პოლიციის სამმართველოშიც გააგრძელეს. გიორგი მიქიაშვილს ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს და ამ ხნის განმავლობაში მისი წამება პერმანენტულად ხორციელდებოდა, რაზეც არაერთი საჯარო განცხადება გააკეთა სახალხო დამცველმა, ამაზე პარლამენტის ტრიბუნიდან საუბრობდნენ, იმჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები. გიორგი მიქიაშვილის უფლებებს მაშინ ზაზა ხატიაშვილი იცავდა. 2012 წლის 9 ოქტომბერს ევროპულმა სასამართლომ მიქიაშვილის საქმეზე მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა.



იმაზე, თუ რა მოხდა, ახლა რას ედავებიან გიორგი მიქიაშვილს, მისი უფლებების დამცველი, ადვოკატი მამუკა ნოზაძე გვესაუბრება.

**მამუკა ნოზაძე:**

– 2013 წლის 5 ივლისს, დაახლოებით 17 საათზე, თბილისში, იუსტიციის სახლის წინ, გზის სავალ ნაწილზე გიორგი მიქიაშვილს, რომელიც თავის კუთვნილ მანქანაში იჯდა, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა უხეშად, გამომწვევად მოსთხოვეს, მანქანა გადაეყენებინა, რის შემდეგაც ხელზე ბორკილები დაადეს, დააკავეს და ემუქრებოდნენ „კაპეზეში“ გადაყვანით. პოლიციელებმა ძალადობა გამოიყენეს, რის გამოც გიორგი მიქიაშვილმა სხეულზე დაზიანებები მიიღო. დაკავების დროს მას არ განუმარტეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, თუ რის გამო აკავებდნენ, ადვოკატის ყოლის უფლება არ მისცეს, რასაც დაჟინებით ითხოვდა. ხელბორკილდადებული დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ჰყავდათ პოლიციის მანქანაში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის შენობასთან ახლოს. იგი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის გამო მას ტკივილები ჰქონდა, რის გამოც იძულებული გახდა, საავადმყოფოსთვის მიემართა. 10 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ მიქიაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და სახდელის სახით 400-ლარიანი ჯარიმა განუსაზღვრა.

*– რის საფუძველზე?*

– მიქიაშვილს ბრალი დასდეს პოლიციელებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებასა და დაუმორჩილებლობაში. ვთხოვეთ, წარმოედგინათ ამის დამადასტურებელი ვიდეოკადრები. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და იცით რა თქვა პატრულ-ინსპექტორმა?! – „ჩემი გადაღებული კადრები სახლში მაქვს, „ფლეშკაზე“ და ხვალ მოვიტანო“. წარმოგიდგენიათ?! მხარზე მიმაგრებული ვიდეოკამერებიდან ჩანაწერი შეუძლიათ წაიღონ სახლში, გადაწერონ, გადმოწერონ და ამაზე პასუხს არავინ სთხოვთ. მეორე დღეს არასრული ვიდეოჩანაწერი წარმოადგინეს. ამ კადრებში ნათლად და მკაფიოდ ჩანს პოლიციელთა ძალადობრივი ქმედებები, მაგრამ მოსამართლემ ამის დანახვა არ ინება და უაპელაციოდ გაიზიარა მოძალადე პოლიციელთა პოზიცია. საპატრულო პოლიციის ათმეთაურმა, რომელმაც გიორგი მიქიაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებასა და დაუმორჩილებლობაში ბრალი დასდო, ღილაკს თურმე ხელი დააჭირა, მაგრამ ელემენტი დამჯდარი აღმოაჩნდა და მხარზე მიმაგრებული ვიდეოკამერით ველარ გადაიღო გიორგი მიქიაშვილის მხრიდან გამოხატული ვითომცდა დაუმორჩილებლობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. არადა, სასამართლო სწორედ ამაში ედავება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ საპატრულო პოლიციის ათმეთაურმა, ავთო მჭედლიშვილმა რეალურად გადაიღო კადრები, მაგრამ წაშალა, რადგან მასზე ასახულია მის მიერ გამოხატული აგრესია.

***– ეს ამბავი გენერალური ინსპექციისათვის არ გიცნობებიათ?***

– გენერალურ ინსპექციაში განცხადება 8 ივლისს შევიდა. წერილობითი პასუხი ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ სატელეფონო საუბრისას გენინსპექციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ენდობიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და რომ პოლიციელების მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში რაიმე გადაცდომა ვერ აღმოაჩინეს. ეს ნიშნავს იმას, რომ შსს დამნაშავე პოლიციელებს ხელს აფარებს და პოლიციელის უკანონო ქმედებაზე რეაგირებას არ ახდენს. სააკაშვილის ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე არ დაუწყია ქუჩაში ადამიანების დემონსტრაციულად დახვრეტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციის უკანონო ქმედებების დაფარვას ასე თუ გააგრძელებს, ეს სისტემურ ხასიათს მიიღებს და ვითარება გამწვავდება. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ახლო წარსული მაძლევს.

თან, დამნაშავე პოლიციელებს სასამართლოც თუ ხელს დააფარებს, მით უმეტეს, სიტუაცია გართულდება. 10 ივლისის დადგენილებაში მოსამართლე გიორგი მიქაუტაძეს მითითებული აქვს ზოგადი, ტრაფარეტული ფრაზები, იმის თაობაზე, რომ „პოლიცია მოქმედებს კეთილსინდისიერად და რომ მას გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება და რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო იზიარებს პოლიციელთა განმარტებებს.

სასამართლოს მხრიდან ასეთი ზოგადი, ტრაფარეტული სიტყვებით პოლიციელთა უკანონო ქმედების ლეგალიზება დაუშვებელია, მაშინ, როცა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმის შედგენისას ადგილი აქვს უზენაესი კანონის – კონსიტუტიციის, ევროპული კონვენციის მე-5, მე-6 მუხლების და ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის დარღვევას, სასამართლო არ უნდა აკეთებდეს აქცენტს პოლიციელთა კეთილსინდისიერებაზე, როცა კანონის აშკარა დარღვევას მათი მხრიდან ადგილი აქვს, რაც ასევე დასტურდება ვიდეოკადრებით, საიდანაც იკვეთება, რომ პოლიციელები გიორგი მიქიაშვილს შეურაცხყოფას აყენებენ – ეუხეშებიან და ღირსების შეურაცმხყოფელად ეპყრობიან.

სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მშრალი არგუმენტაციით და გამოტანილი დადგენილებით, პოლიციელებს უნდა უთითებდეს იმ დარღვევების თაობაზე, რასაც ადგილი აქვს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმის შედგენისას, რომ მომავალში კვლავ არ განმეორდეს იგივე დარღვევა და ამას უნდა ჰქონდეს პრევენციული მნიშნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეული მოქალაქე დგას საფრთხის წინაშე – ის შეიძლება არაკეთილსინდისიერი და დაინტერესებული პოლიციელის მოქმედების მსხვერპლი გახდეს, რადგან პოლიციელებს უჩნდებათ რწმენა იმისა, რომ მათ მიერ განხორციელებულ უკანონობასა და სამართლებრივი ნორმების დარღვევით შედგენილ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმზე სასამართლოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება.

***– რას აპირებთ, ბრძოლას გააგრძელებთ?***

– სამართლებრივად ვიბრძოლებთ ბოლომდე. 18 ივლისს მთავარ პროკურორს საჩივრით მივმართეთ, 19-ში სააპელაციო საჩივარი შევიტანეთ. ვნახოთ, როგორ მოიქცევიან. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გიორგი მიქიაშვილი პოლიციელთა მხრიდან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი ერთხელ უკვე გახდა, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 9 ოქტომბერს საქმეზე – „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გამოიტანა პრეცედენტული გადაწყვეტილება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქართული სასამართლო შემდეგ ინსტანციაში მაინც იქნება სამართლიანი და არ გავხდებით იძულებული, რომ სააპელაციოს სასამართლოს შემდეგ სამართლის საძიებლად კვლავ ევროპულ სასამართლოს მივმართოთ.

# შალვა ნათელაშვილის მეუღლეს მოკვლით ემუქრებოდნენ

შორენა გონგლაძე



60 წლამდე მამაკაცმა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის ბინის გაძარცვა სცადა. ამის შესახებ ინფორმაციას შალვა ნათელაშვილის მეუღლე ბელა ალანია ავრცელებს. ალანიას თქმით მას სახლის კარი ღია დარჩა, თავად კი სამზარეულოში იმყოფებოდა, რა დროსაც ხმაური შემოესმა დერეფანში გასულმა კი მის ბინაში 60 წლამდე მამაკაცი დაინახა, რომელიც გაიქცა. ალასანიას თქმით მან დაცვასთან დაკავშირება მოასწრო, რომელმაც მძარცველი სადარბაზოში დააკავა.

„მაშინვე ვთხოვე ეთქვა ჩემთვის რა უნდოდა ბინაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პოლიციაში დავრეკავდი, რა დროსაც მიპასუხა -როგორც კი დარეკავ, ყელს დანით გამოგჭრი და დაგანახებ საკუთარ სისხლსო“, – აცხადებს ალანია.

მისივე თქმით მძარცველი მას ცემითაც დაემუქრა.

„ბოდიში ქალბატონო. მართლა არასწორად მოვიქეცი.. მაგრამ თქვენისთანა სახლში რომ მყავდეს, ცხრაჯერ მივბეგვავდი დღეში, სულ სისხლს ვადენინებდი და ისწავლიდა ჭკუას – როგორ მელაპარაკოსო“ აცხადებს ალანია.

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის ბინის გაძარცვა გუშინწინ სცადეს.

# აფთიაქებზე კონტროლი მკაცრდება

## პარლამენტი კობა დავითაშვილის ინიციატივაზე იწყებს მსჯელობას

შორენა გონგლაძე

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი კობა დავითაშვილის მიერ მომზადებულ ცვლილებებზე მსჯელობას იწყებს, რომლის მიხედვითაც, ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობა შესაძლოა გამკაცრდეს.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის წინადადებით, სამმაგდება ჯარიმები ისეთ მედიკამენტებთან დაკავშირებით, რომლებიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება და რომელთა მიღება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე. დავითაშვილის განმარტებით, ცვლილებების მომზადება განპირობებულია ქვეყანაში ე.წ. სააფთიაქო ნარკოტიკების მომრავლებით, რომელიც უმძიმეს შედეგს იწვევს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, რის გამოც აუცილებელია საჯარიმო სანქციების მკვეთრი ზრდა.

მისი წინადადებით, საქმიანობა ფარმაცევტული წარმოების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტის ან იმპორტის, ავტორიზებული აფთიაქის, ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 8 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 16 000 ლარის ოდენობით.

ამასთან, პროექტით, ფარმაცევტული წარმოების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტის ან იმპორტის, ავტორიზებული აფთიაქის, ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

ასევე ფარმაცევტული პროდუქტის მომზადება, რეალიზაცია არაუფლებამოსილი პერსონალის (ფარმაცევტული განათლების არმქონე, დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე სუბიექტის) მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ფარმაცევტული პროდუქტის მომზადების წესის დარღვევა, ინსტრუქციით დადგენილი შენახვის პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება იმ კატეგორიის ფარმაცევტულ პროდუქციას, რომელიც განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარება და ექიმის დანიშნულების გარეშე არ უნდა გაიცეს, მათი გაცემის წესის დარღვევაზე ჯარიმა 3000-დან 9 000 ლარამდე იზრდება. ასევე სამმაგდება ჯარიმა აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენაზე და მისი ოდენობა 18 ათას ლარამდე იზრდება.

ამას გარდა, წუნდებული, ვადაგასული, გაუვარგისებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია გამოიწვევს დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ბაზარზე ფალსიფიცირებული ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა – 20 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

სამკურნალო საშუალების აღრიცხვის, წარმოების, სტანდარტიზაციის, მარკირების, გადაზიდვა-გადაგზავნის, იმპორტ-ექსპორტის, რეექსპორტის, სერიული აღრიცხვის და განადგურების დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 600 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. აღნიშნული ქმედების განმეორება დ ჯარიმას 4 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების რეჟიმების გვერდის ავლით ან ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით დ 12 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ჯაჭვლიანი: „სააკაშვილი არის მაოხრებელი გზირი“

## სახალხო კრება აშშ-ის ელჩისგან პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე შეფასებას ელის

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სკანდალურ განცხადებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. სხვანაირად არც იქნებოდა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 26 მაისის დარბევის მონიტორინგს თურმე ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლები ახორციელებდნენ. ამ სისხლიან ღამეზე სააკაშვილს ბევრი განცხადება აქვს გაკეთებული, მაგრამ მსგავსი არაფერი უთქვამს.

ყველას ეგონა, რომ ამერიკული მხარე ამ განცხადებაზე მყისიერ რეაგირებას მოახდენდა. აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი ლამის ამინდის გაუარესება-გაუმჯობესებაზეც აკეთებს კომენტარებს, თანაც დაუყოვნებლივ. ახლა კი ნორლანდს დააგვიანდა. ეს დაგვიანება თავის მხრივ დამატებით აჩენს კითხვებს.

სააკაშვილის „აღსარებას“ სახალხო კრებაც გამოეხმაურა. კრების წარმომადგენლები, როგორც თავად ამბობენ, შოკში ჩავარდნენ პრეზიდენტის განცხადების გამო.

მთელი საქართველოს მსგავსად, ისინიც ელოდნენ, რომ ყველაფრის მაკონტროლებელი და მაკომენტარებელი ნორლანდი განცხადებას გააკეთებდა. თუმცა, როგორც სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად!

ლოდინით დაღლილმა სახალხო კრებამ გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც ითქვა, რომ კრება აშშ-ს ელჩის შეფასებას ელოდება.

– 2013 წლის 20 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ განაცხადა, რომ 2011 წლის 26 მაისის ღამის სპეცოპერაციის ყველა დეტალს საქართველოს შსს-ში სპეციალურ მონიტორებზე აკვირდებოდა ეფ-ბი-აის ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით დასკვნა დაწერა, რომ აქციის დაშლა კანონის სრული დაცვით განხორციელდა. ეს განცხადება ჩვენთვის – სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. სააკაშვილის ეს განცხადება ან მორიგ გამიზნულ ტყუილსა და საგანგებო დეზინფორმაციას წარმოადგენს, რაც მისგან უკვე დიდი ხანია აღარავის უკვირს, ან საქმე გვაქვს მართლაც რომ საგანგაშო ვითარებასთან. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ძირითადად საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ მხოლოდ მავნებლობითაა დაკავებული, ახლა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს სდებს ბრალს 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციის დაგეგმვასა და ორგანიზებაში, რასაც ადამიანთა გარდაცვალება, აქციის ასობით მონაწილის დასახიჩრება, წამება, უკანონო თავისუფლების აღკვეთა მოჰყვა. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. მიგვაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული ეს სკანდალური განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა სერიოზულ რეაგირებასა და განმარტებებს საჭიროებს, ვინაიდან აღნიშნული განცხადება საქართველოში ანტიამერიკული განწყობების გაღვივებას გამოიწვევს. სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო და 26 მაისის მონაწილეები აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისგან რიჩარდ ნორლანდისგან პრეზიდენტის მიერ გაკეთებული ამ უპრეცედენტო და სკანდალური განცხადების შეფასებას ველით, – განაცხადა სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს სახელით გია ბურჯანაძემ.

სააკაშვილს განცხადება ლუკა კურტანიძემ და სოსო ჯაჭვლიანმაც შეუფასეს. 26 მაისის ღამეს ორივე მათგანი რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა. სოსო ჯაჭვლიანი ერთი თვით დააპატიმრეს, ლუკა კურტანიძეს კი ზონდერებმა სასიკვდილოდ სცემეს. ორივე მათგანი მაშინ სახალხო კრებაში იყვნენ. ახლა ბიძინა ივანიშვილის ორბიტაზე ტრიალებენ და ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს ცალკე დაეგმოთ მიშა.

კრების მსგავსად, სოსო ჯაჭვლიანიც მოუთმენლად ელოდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შეფასებებს. დეპუტატი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტი თავის გადარჩენისთვის ყველაფერზე წავა.

– არ შემიძლია 26 მაისზე, 7 ნოემბერზე ემოციის გარეშე ვილაპარაკო. მიშა არის ქვეყნის მაოხრებელი გზირი. მიჩნდება კითხვა, ნუთუ ვილაცა ეთანხმებოდა იმ ყველაფერში, რაც მიტინგის დარბევისას მოხდა? იმედი მაქვს, სააკაშვილს ამერიკის საელჩო პასუხს მოსთხოვს. ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი 24 საათის განმავლობაში იმაზე ფიქრობს, თუ როგორი უბედურება მოუტანოს ქვეყანას. ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა მოხდეს ყველაფრის გამოძიება, სააკაშვილი აგონიაშია, თავის გადარჩენას ცდილობს, მას სურს ჩვენი დაპირისპირების ხარჯზე პასუხისგებას გაექცეს. მე, უბრალოდ, ჩემთვის დავფიქრიდი, ათი წლის განმავლობაში თურმე „ქართულ ფილმს“ გადაღებული აქვს ორასამდე მხატვრული ფილმი. სწორედ ამან გაუთქვა ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში სახელი. წარმოგიდგენიათ? ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში იყო, ადამიანის გაუპატიურებისა და წამების 17 ათასი სერია არის გადაღებული. ამიტომ ყველაფერი ნათელია, სააკაშვილი ცდილობს, როგორმე გადაირჩინოს თავი. მოვუწოდებ, თავი დაანებოს ქვეყნის ღალატს, თავი დაანებოს ჩვენი მეგობრებთან გადაკიდების მცდელობას. ევროკავშირთან და დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, – განაცხადა სააგენტო „რეპორტიორში“ გამართულ პრესკონფერენციაზე სოსო ჯაჭვლიანმა.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ კი სააკაშვილი კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხას შეადარა. მისი მტკიცებით, პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს რომ საქართველოში არეულობა დაიწყოს. მისი თქმით, 26 მაისის დარბევაზე გამოძიება მიმდინარეობს და მალე ყველაფერი გაირკვევა. კურტანიძე იმედს გამოთქვამს, რომ მსგავსი საშინელება ჩვენს ქვეყანაში აღარ მოხდება.



– პრეზიდენტი კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხას ჰგავს და მაქსიმალურად აკეთებს ყველაფერს, რომ ქვეყანაში სიტუაცია არიოს. მას უნდა დაძაბული მდგომარეობა შეიქმნას, რაც მის ინტერესებში შედის. მიუხედავად ამისა, ჩვენ და საზოგადოება, დიდი მოთმინების ფასად, ყველაფერს ბოლომდე მივიყვანთ. 26 მაისის დარბევის შესახებ გამოძიება მიმდინარეობს და საბოლოო დასკვნა უახლოეს პერიოდში გამომზეურდება.

რომ არა პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, შესაძლებელია უფრო დიდ ტრაგედიასთან გვქონოდა საქმე. მე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ცივი გონებით გავცეთ ყველა კითხვას პასუხი. რაც შეიძლება დიდი მოთმინება გამოვიჩინოთ. ყველა იმ ჟურნალისტს, ვინც წლების განმავლობაში საზოგადოებამდე ხმის მიწვდენის საშუალებას გვაძლევდა, მინდა მადლობა გადავუხადო. მათ შორის: გიორგი მამაცაშვილს და ბექა სივსივაძეს. ჩვენ ის ტკივილიანი დრო ერთად გამოვიარეთ. 26 მაისი ის თემაა, რომელიც არასოდეს არ უნდა განმეორდეს, საქართველოს ისტორიაში უნდა დარჩეს შავ ლაქად. ეს ძალიან მძიმე თემაა. ქართველმა ხალხმა წერტილი უნდა დაუსვას იმას, რაც ამ წლების განმავლობაში ქართველთა შორის შუღლი და უბედურება იყო, რამაც გვირგვინად მოიტანა შუღლი და დაპირისპირება, ის უნდა დასრულდეს, – აცხადებს ლუკა კურტანიძე.

კურტანიძე ამბობს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტის რანგში ატანა მისთვის რთულია. ამის მიუხედავად, ის ყველას მოთმინებისკენ მოუწოდებს. კურტანიძე ფიქრობს, რომ თუ ქვეყნის განვითარება და მშვიდობა გვინდა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა მოვითმინოთ. რაც შეეხება ეფ-ბი-აის წარმომადგენლების ყოფნას დარბევაზე, კურტანიძის აზრით, ეს სააკაშვილის მორიგი ხრიკია.

– სამწუხაროდ, კიდევ რამდენიმე ხანი მოგვიწევს მისი მოთმენა, იმ სისულელეების, რა სისულელეებსაც ვინმე სააკაშვილი აკეთებს, მაგრამ პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს, რამეთუ საქართველოში ყველამ კარგად იცის, როგორ უნდა იცხოვროს, საზოგადოებამ კარგად იცის, ის სახელმწიფოებრივი მიდგომები, როგორიც არის პოლიცია და ა.შ. როგორ უნდა სამართლიანობა აღადგინოს, როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფოებრივი ინტერესი და ა.შ. თუ სააკაშვილს ჰგონია, რომ ქართველებმა არ ვიცით, რას ნიშნავს პოლიცია როდესაც გაჩერებს, ან სამართალს როცა არღვევ რა პასუხი მოგეთხოვება, ძალიან ცდება. ქართველი ერი თავისი გონიერებით ყოველთვის იყო ის ერი, რომელიც გამოირჩეოდა მსოფლიოში და ახლაც გავცემ, ბოდიშს მოვუხდი საზოგადოებას, მაგრამ ეს ადამიანი რომელიც არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს, დიდი მოთმინების ფასად, კიდევ ერთხელ პრეცედენტი რომ შევქმნათ, საზოგადოება რომ დაწყნარდეს და მივიდეთ არჩევნებამდე, საზოგადოებამ თავისი სწორი არჩევანი გააკეთოს, კიდევ ვითმენთ და მაქსიმალურად ვცდილობთ სიტყვები შევარჩიოთ, ისედაც გადაღლილი და დაჩაგრული საზოგადოება კიდევ არ გავაღიზიანოთ. მე ერთი რამ მინდა პასუხად ვთქვა, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ 2011 წლის 26 მაისი სამართლებრივ ჩარჩოში გასწორდეს და ყველამ პასუხი აგოს, მაგრამ ადამიანი, რომელის კიდევ რამდენიმე ხანი მოგვიწევს მოთმენა, როგორც ეგრეთწოდებული პრეზიდენტის, აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, საზოგადოება, ამერიკის საზოგადოება, რომლებიც წლების განმავლობაში მხარს გვიჭერდა და ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, მაქსიმალურად ყველა ჩაითრიოს და ყველა გაასწოროს იმ სიბინძურეში, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა, – აცხადებს ლუკა კურტანიძე.

მართალია ამერიკელების პოზიცია არ იცის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ისინი სააკაშვილს ამ დარღვევას არ მოუწონებდნენ. კურტანიძე აგვისტოს ომსაც შეეხო. გაიხსენა, როგორ უშლიდნენ ამერიკელები ხელს სააკაშვილს ომის დაწყებაში.

– მე შევახსენებ, ბატონ ვინმე სააკაშვილს, რომ 2008 წელს ამერიკის ადმინისტრაციიდან, კონკრეტულად კონდოლიზა რაისი, არწმუნებდა იმ პროვოკაციაში, რაც მოხდა სამაჩაბლოში, არ ჩარეულიყო და ქვეყანა იმ სავალალო მდგომარეობამდე არ მიეყვანა, რა მდგომარეობაშიც მოხვდა ჩვენი ქვეყანა. სააკაშვილს მისი ნაბიჯებიდან გამომდინარე, დავით აღმშენებლობა უნდოდა და დროშების ფრიალი, მაგრამ ვისზე გამარჯვება? – გაურკვეველია. არასოდეს ყოფილა პრეცედენტი, რომ ამერიკის ელჩს, ისეთ აქციაზე, როგორიც ზუგდიდში იყო, მონაწილეობა მიეღო. ეს არის მკვეთრი მესიჯი ვინმე სააკაშვილის მიმართ, რომ ამერიკის მხარე არ დაუშვებს, იმ 9 წლის განმავლობაში რაც კეთდებოდა და რაც სააკაშვილმა თავის ხელისუფლებასთან ერთად ჩაიდინა, კიდევ გაგრძელებულიყო. საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც ხავსს ეკიდება და ყველაფრის ჩათრევა უნდა, ოღონდ თვითონ გადარჩეს. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საზოგადოებამ, რომელმაც კითხვა დასვა, სამართლებრივად გასწორდეს და ყველას თავისი მიეზღოს, თუნდაც ვინმე სააკაშვილს, – აცხადებს ლუკა კურტანიძე.

სააკაშვილის განცხადებას მედიაჰოლდინგ „რეპორტიორის“ გენერალური დირექტორი გიორგი მამაცაშვილიც გამოეხმაურა. მან 26 მაისის თემაზე პრეზიდენტის გაკეთებულ განცხადებას პროვოკაცია უწოდა.

– 26 მაისის თემა ყველა ჩვენგანს შავ ლაქად გვამჩნევია. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში შევიტანეთ სარჩელი, თუმცა ჩვენი ხმა მაშინ დარჩა „ხმად მაღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. გაგრძელება მისი იმ ხმამაღალი განცხადებისა, რომელიც უკრაინულ გამოცემას 2011 წლის სექტემბერში მისცა. ის აღიარებდა, რომ 26 მაისის მიტინგის დაშლა, როგორც თავად უწოდებდა (საზოგადოების უმრავლესობის შეფასებით კი ეს არ იყო დაშლა, ეს იყო მოწყობილი სასაკლაო), მან ბრძანა! ხოლო შემსრულებელი იყო მერაბიშვილი. სააკაშვილი არ ნანობდა ამ ბრძანების გაცემას და მეტიც, მომავალშიც ანალოგიური ქმედებით იმუქრებოდა, – აღნიშნავს მამაცაშვილი.

გუშინ გიორგი მამაცაშვილმა 26 მაისის აქციაზე, მასთან ერთად დაშავებულ ბექა სივსივაძესთან ერთად, რიჩარდ ნორლანდის პრესმდივანს ოფიციალურად მიმართა. დაშავებულ ჟურნალისტებს, აშშ-ს საელჩოსგან აინტერესებთ იმის გარკვევა, მონაწილეობდა თუ არა 26 მაისის დარბევაში ეფ-ბი-აი.

– მე ველაპარაკე რიჩარდ ნორლანდის პრესმდივანს, ქალბატონ ნანას და გადავწყვიტეთ ოფიციალურად მივმართოთ ამერიკის საელჩოს. მოვითხოვთ პასუხს კითხვაზე: 26 მაისის დარბევა და სასაკლაოს მოწყობა, ჟურნალისტებისა და ჩვენს მიმართ წარმოებული ძალადობა ამერიკის საელჩოს ეფ-ბი-აის მხრიდან იყო თუ არა ნებადართული? მინდა მჯეროდეს, რომ ამერიკის მხარე ცალკე მოსთხოვს პასუხს მიხეილ სააკაშვილს იმ უაზრო განცხადების გამო, – აღნიშნა მამაცაშვილმა.

# ნაცმოძრაობის დაფინანსება ოთხმაგდება, „ქართული ოცნების“ კი – 24-ჯერ იზრდება

## „ქართულმა ოცნებამ“ ხელი უნდა აიღოს ნაცმოძრაობის მეთოდებზე

თამარ ნინიძე

ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ირაკლი ჭყოიძე სათათბირო ხმის უფლებით არის. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირაკლი ჭყოიძე სკანდალურ ინფორმაციას ახმაურებს, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ხმაშეწყობილად ცდილობენ საპრეზიდენტო არჩევნები ისევ ძველი მეთოდებით ჩაატარონ, რაც საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას არ ემსახურება.




***– იქნება გვითხრათ, რა კონკრეტული შენიშვნები გაქვთ ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით?***

– როგორც კი დაიწყო ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობა, „დემოკრატიული მოძრაობა“ აქტიურად ჩაერთო მის მუშაობაში. არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად შევიმუშავეთ ცვლილებათა პაკეტი, ეს პაკეტი გულისხმობდა ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში და პარტიების დაფინანსების წესშიც, სამართლიანობაზე დამყარებული ცვლილებები გახლდათ, რომელსაც მეტ-ნაკლებად ჯანსაღი გარემო უნდა შეექმნა. გარკვეულ დრომდე კონსტრუქციული მუშაობა და ურთიერთობა იყო. ჩვენი წინადადება იყო, რომ ისევე მიეღო კვალიფიციური სუბიექტის ფუნქცია პრეზიდენტობის კანდიდატს თუ კანდიდატი გადალახავდა საარჩევნო ბარიერს საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორც ეს ხდებოდა ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების დროს. ბარიერზე მსჯელობა არ იყო იმიტომ, რომ როგორც აღმოჩნდა, ეს თემა მიუღებელი იყო ხელისუფლებისთვის, რაც ჩვენთვის გასაკვირია. ჩვენ ბარიერთან დაკავშირებით უცხოური პრაქტიკიდან პრეცედენტები დავასახელეთ, ჩვენი არგუმენტებიც წარმოვადგინეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები თავისი მნიშვნელობით არ ჩამორჩება სხვა არჩევნებს, რადგან პარტიული ჩართულობითაც მნიშვნელოვანია. ჩვენ თანახმა ვიყავით, რომ თუკი საპარლამენტო არჩევნების დროს არის ბარიერი 4%, თუნდაც გაორმაგებულიყო საპრეზიდენტო არჩევნების დროს. განხილვამდეც კი არ მივიდა საკითხი იმიტომ, რომ პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა ის ხელისუფლებისთვის. ამის საპასუხოდ შემოვიდა სრულიად გაურკვეველი ბონუსების სისტემა იმ საპარლამენტო პარტიებისთვის, რომლებმაც გადალახეს ბარიერი. ვინც შექმნიდა ფრაქციებს, თითოეულ ფრაქციაზე მიეცემოდათ საბაზო დაფინანსება. ეს ვერაფრით განგვიმარტეს თუ რას ნიშნავდა და ჰქონდა თუ არა ამას პრეცედენტი მსოფლიოში. აირაის და სხვა საერთაშორისო ექსპერტებს შეხვედრაზე ჰქონდათ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხზე, უკვე ჩატარებული არჩევნების შემდეგ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვა. ნაცმოძრაობას უოთხმაგდებოდა საბაზო დაფინანსება, ხოლო „ქართულ ოცნებას“ ოცდაოთხჯერ ემატებოდა ეს დაფინანსება, რომელიც ბიუჯეტიდან უნდა მიეღო მის ფრაქციებს. ექვს ფრაქციაზე მიიღებდა სამას-სამას ათას ლარს „ქართული ოცნება“ და დამატებით მიიღებდა ნაცმოძრაობა ერთ ფრაქციაზე.

***– რატომ გახდა ეს თქვენთვის მიუღებელი?***

– ჯერ ერთი, არაკომპეტენტურობაა კანონთან და ბიუჯეტთან მიმართებაში, ასე არ შეიძლება, ჩატარებული არჩევნების შემდეგ უკვე გაწერილი ბიუჯეტიდან იხარჯებოდეს ეს თანხები. ჩვენ გვესმის, რომ პოლიტიკური პარტია უნდა ფინანსდებოდეს, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე, აქ შემთხვევა გვაქვს პირდაპირი ხელის ჩაყოფასთან ბიუჯეტში. ამ პარტიებს უკვე გამოყოფილი აქვთ ეს თანხები და იღებენ. ასეთი მიდგომა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. ინტერფრაქციულ სხდომაზეც დავაფიქსირეთ ჩვენი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება და ასევე ქუთაისშიც ინტერფრაქციულ სხდომაზე ზაქარია ქუცნაშვილმა შემოგვთავაზა მემორანდუმის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალებისგან „ქართულ ოცნებას“ საფრთხე არ ელოდება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, როდესაც მან 26 მაისის დარბევაზე საუბრისას განაცხადა, რომ მიტინგის დარბევას ეფბიაის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან. რა ხდება, ბატონო გელა, ესეც მისი მორიგი არაადეკვატური განცხადებაა, თუ სიმართლე თქვა?***

— საერთოდ, სააკაშვილი ყოველთვის ამბობს სიმართლეშერეულ ტყუილს, ან ტყუილშერეულ სიმართლეს და ალბათ ძნელია გაიგო, რა არის სიმართლე და რა არის ტყუილი. როგორც ჩანს, ვიღაც წარმომადგენლები მართლაც იყვნენ, ესენი იყვნენ ეფბიაის ოფიციალური წარმომადგენლები თუ მათ მიერ გამოგზავნილი გულშემატკივრები, ეს ღმერთმა იცის, მაგრამ ვიღაც ამერიკელები, როგორც ჩანს, მართლაც იყვნენ და აკვირდებოდნენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ მათ მოსწონებოდათ ეს, კანონიერების ფარგლებში ჩაეთვალათ, რადგან სააკაშვილის ყველა მოქმედებას ასე აფასებდნენ, გარკვეული ჯგუფები და გარკვეული წრეები... მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ თვითონ იმ ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ არც ადამიანის უფლებებზე, არც უფლებების დაცვაზე და დაცვის სტანდარტებზე. რადგან ამერიკელია და რადგან ეფბიაია, მან ყველაფერი იცის და ჩვენ არაფერი არ ვიცით და ყველაფერი მათგან უნდა ვისწავლოთ, ასეთი მიდგომა არის ძალიან დიდი პროვინციალიზმი. ამიტომაც მე, ერთი მხრივ, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა მსგავსი იყო, თუმცა გამოვრიცხავ, რომ ზუსტად ისე ყოფილიყო, როგორც სააკაშვილი ამას ამბობს. თორემ მიტინგის დროს მოკლული ადამიანები და დაკავებულ ადამიანებზე ასეთი ზემოქმედება, ცემა-წამება და ხელფეხშეკრული ადამიანების ასე დასისხლიანება, თუ ვინმეს მიაჩნია ნორმად, მაშინ ის თვითონ არ არის ნორმაში და აქედან გამომდინარე, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამას ამერიკელი იტყვის, ფრანგი თუ მალაიზიელი.

***— ეს გადაბრალების პოლიტიკაა თუ რაში დასჭირდა სააკაშვილს ამ განცხადების გაკეთება? და რამდენად სახიფათოა იგივე ამერიკისთვის სააკაშვილი, თუკი მან ასეთი განცხადებების კეთება დაიწყო?***

— ის, რომ ამერიკისთვის სახიფათოა, უკვე დიდი ხანია ცნობილია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მის ყველა ანტიდემოკრატიულ ქმედებას საზოგადოება აღიქვამდა და აღიქვამს, როგორც პროამერიკულს და აქედან გამომდინარე, ამერიკული უკვე გაიგივებულია ანტიდემოკრატიულთან და საქართველოში ანტიამერიკული განწყობა სწორედ მისი დათესილია. რაც შეეხება კონკრეტულად ამ შემთხვევას, რა თქმა უნდა, ის საერთოდ ასეთი ტიპაჟია, ცუდი ხუთოსანი ბავშვები რომ არიან, სუყველას ჩაშვებაზე რომ არის გადასული, ამან ის გააფუჭა და იმან ის გააფუჭა და თვითონ ამის გამო ყოველ წუთას შექება რომ უნდა დაიმსახუროს, აი, სწორედ ისეთ ბავშვს მაგონებს სააკაშვილი. სწორედ ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ ხედავთ, მე ამერიკელებმა შემაქეს, მე ამერიკელებმა მომიწონეს. ანუ მას ყოველთვის სჭირდება უფროსის შექება, როგორც ბავშვს და ის ვერ გამოვიდა ამ ბავშვობის ასაკიდან და დაახლოებით ასეთ მდგომარეობას შევადარებდი მის ამ განცხადებას.

***— რამდენად მოჰყვება ამას რეაგირება შეერთებული შტატების მხრიდან?***

— მე ვფიქრობ, რაღაცა განცხადება გაკეთდება. იტყვიან, რომ ამაში ეფბიაის ოფიციალური წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, არც ინსტრუქციებში და არც რაღაც მითითებებში, 26 მაისის მიტინგის დაშლასთან დაკავშირებით, ალბათ ასეთი რბილი განცხადება მოჰყვება ამერიკის საელჩოს მხრიდან. დანარჩენი ახლა, სააკაშვილის ლანძღვას ისინი არ მოჰყვებიან, მაგრამ მსუბუქ საყვედურნარევ განცხადებას ისინი გააკეთებენ და თან თავს გაიმართლებენ.




***— მათი დემოკრატიის შუქურა ალბათ სერიოზულ თავსატეხად ექცევათ...***

— რა თქმა უნდა, და ეს მომავალშიც ასე იქნება.

***— ბატონო გელა, ასევე მინდა მეორე თემას, ნაციონალების პრაიმერსაც შევეხოთ. ვნახეთ, რომ ხალხს ამოუვიდა კისერში დამნაშავე რეჟიმის პრაიმერის ყურება და დემოკრატიობანას თამაში და აჭარაში და სამეგრელოში ვნახეთ თუ როგორი სერიოზული აქციები მოუწყო მოსახლეობამ. თუმცა საუბრობენ იმაზეც, რომ ამაზე ნაციონალები ითბობენ ხელს და სათავისოდ იყენებენო...***

— დიახ, სამწუხაროდ, რეალურად ეს ასეა, ნაციონალები ყველა მათთვის წამგებიანი საქმიდან ცდილობენ, რომ სათავისოდ მომგებიანად გამოიყვანონ და ამასაც, რა თქმა უნდა, იყენებენ პიარისთვის. ამ კადრებს აჩვენებენ მსოფლიოს, რომ ნახეთ, როგორ გვდევნიანო და ზოგადად დევნილის მიმართ სიმპათიები არსებობს ხოლმე. ხშირ შემთხვევაში არ უყურებენ, რამ გამოიწვია ეს მასობრივი აღშფოთება. რა თქმა უნდა, თავისთავად არ არის კარგი საყურებელი კვერცხების და მით უმეტეს, ქვების სროლა. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ არის აქამდე არნახული მთელ მსოფლიოში, უარესებიც ხდება. თუმცა მე ქვის და კვერცხის სროლას ვერ მოვიწონებ, მაგრამ მომწონს, როცა ასე საჯაროდ გამოხატავენ ნაციონალების მიმართ განწყობას, მაგრამ არ მომწონს, როდესაც ეს ზღვარს გადადის და ქვების სროლით მთავრდება. კარგია, რომ საპროტესტო აქციები გაიმართოს და დაანახონ ხალხმა თუ რა განწყობა არსებობს საზოგადოებაში მათ მიმართ. თუმცა ვიმეორებ, ცუდია, რომ ეს ქვების სროლაში გადადის. რამდენიმე მიზეზის გამოა ცუდი, პირველი, ეს მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის და მეორე, ცუდია იმიტომ, რომ ნაციონალები ამას თავის სასარგებლოდ იყენებენ.

***— ხალხი გაღიზიანებულია, ახალი ხელისუფლება ნაციონალებთან კოაბიტაციით ერთობა და სამართლიანობის აღდგენა სულ დაივიწყაო. ალბათ მართლაც ცუდი იქნება, თუ პირად ანგარიშსწორებამდე მივა საქმე. თქვენი აზრით, პირველ რიგში, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?***

— მე მგონი, ამის თავი და თავი და მთავარი მიზეზი არის ის, რომ პარლამენტი რეალურად არ ასახავს საზოგადოების განწყობას. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, არც ნაციონალებს აქვთ 20%, მათ რეალურად 10% თუ აიღეს და დღეს კიდევ უფრო ნაკლები აქვთ და მეორე მხრივ, არც „ქართულ ოცნებას“ აქვს ის დანარჩენი 80-85%. ეს იმიტომ მოხდა, რომ რეალურად არჩევნები გაყალბდა და დღეს მთავარი ამოცანა, მე ვფიქრობ, არის, მომავალ წელს, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, წელს უკვე ეს დაგვიანებულია, ეს აღარ მოესწრება. ამ არჩევნებში ალბათ ქართული ოცნება გაიმარჯვებს, მაგრამ მას არ ექნება ასეთი უმრავლესობა და მით უმეტეს, საკონსტიტუციო უმრავლესობა. მაქსიმუმ 35-40%-ის ფარგლებში აიღებს, დანარჩენი 5-10%-ის ფარგლებში ალბათ ნაციონალებს და დანარჩენი განაწილდება სხვადასხვა პარტიების სასარგებლოდ და ეს იქნება რეალური ძალთა განწყობის ასახვა, რაც დღეს არსებობს საქართველოში. მე როდესაც ამას ვამბობ, მეუბნებიან ხოლმე, ძალთა განწყობა თვეების განმავლობაში იცვლება და ოთხწლიანი ციკლი არ დასრულდეს და ყოველწლიურად არჩევნებს ხომ არ ვატარებთო. რა თქმა უნდა, ეს რ არის კარგი და არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაორდინარულ პირობებში ჩატარდა პირველი ოქტომბრის არჩევნები. ეს არ იყო ჩვეულებრივი არჩევნები, ეს იყო მონობასა და თავისუფლებას შორის გაკეთებული არჩევანი და იქ არავინ არ უყურებდა, ბიძინა ივანიშვილის გუნდში ვინ შევიდოდა. მთავარი იყო, მოეცილებინათ ნაციონალური მოძრაობა. დღეს რადგან ეს ამოცანა შესრულებულია, მე ვფიქრობ, დღევანდელი ამოცანაა, რომ ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ეს უკვე იქნება ნამდვილად ნორმალურ და ობიექტურ გარემოში ჩატარებული არჩევნები. როდესაც თავის გადარჩენას, სიკვდილს და სიცოცხლეს შორის არჩევანი აღარ გაქვს გასაკეთებელი და უფრო დადინჯებულად და ზომიერად გააკეთებს ხალხი არჩევანს.

***— თუმცა თავად ოცნებაში ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. საუბარია იმაზეც, რომ ამ დროისთვის შესაძლოა ივანიშვილი უკვე წასული იყოს პოლიტიკიდან და ეს მათ რეიტინგზე სერიოზულ ზეგავლენას მოახდენსო. თქვენი აზრით, წინააღმდეგი წავლენ თუ გაუწევენ საზოგადოების ამ მოთხოვნას ანგარიშს?***

— რა თქმა უნდა, ოცნება, რომელსაც თითქმის საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, ბუნებრივია წინააღმდეგი იქნება. ნებისმიერი ადამიანის ბუნებაა, როდესაც მოიპოვებს რაღაცას, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, ეს კიდევ სხვა საქმეა, მისი ხელიდან გაშვება არ უნდა. თუმცა ოცნებაშიც არიან ობიექტური ადამიანები, რომლებიც რეალობას ანგარიშს უწევენ და ისინი იქნებიან იმ აზრზე, რაც მე ახლა გავაჟღერე და რაც საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნაა. სხვათა შორის, საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ხვალ აპირებს, რომ შეიტანოს მიმართვა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ეს სარეფერენდუმო საინიციატივო ჯგუფია, რომელიც მოითხოვს, რომ რეფერენდუმის ჩატარებისთვის ხელმოწერები შეაგროვოს და რომ ამ ხელმოწერების შეგროვების უფლება მიეცეს ამ ჯგუფს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან და ჩვენ დავანახვებთ საქართველოს და მთელ მსოფლიოს, რომ 200 ათასი ხელმოწერა, რომელიც არის საჭირო, შეგროვდება, რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით. მართალია შემდეგ ამას პრეზიდენტი ნიშნავს, მისი პრეროგატივაა, მხოლოდ ხელმოწერების შეგროვება არ არის საკმარისი. თუმცა მე ვფიქრობ, რომ როდესაც ყველა დაინახავს, რომ ამდენი მომხრე გყავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, პრეზიდენტსაც გაუჭირდება, რომ წავიდეს საზოგადოების დიდი ნაწილის ნების წინააღმდეგ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ რეფერენდუმი გადაწყვეტს ამ პრობლემას?***

— მე ვფიქრობ, რომ რეფერენდუმი ძალზე შეუწყობს ხელს ამ პრობლემის გადაწყვეტას. მე ვფიქრობ, ამ დროისთვის სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტად და სავარაუდო პრეზიდენტობის კანდიდატებიდან, როგორც უკვე ჩანს, მარგველაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის გაიმართება ძირითადი ბრძოლა თუ მეორე ტურამდე მივიდა საქმე. ბურჯანაძე კი დღესვე აცხადებს, რომ მომხრეა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. მართალია მარგველაშვილი ჯერჯერობით ამას არ აცხადებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მანაც შეცვალოს პოზიცია მას შემდეგ, რაც ასეთ განწყობას დაინახავს საზოგადოების დიდ ნაწილში.

***— ბატონო გელა, ნაციონალებს რაც შეეხებათ, საუბარია, რომ ბევრი მათგანი კვლავ უპრობლემოდ ინიშნება თანამდებობებზე, ბევრი ოცნებას აფარებს თავს... როგორ ფიქრობთ, ამით რამდენად აქვთ მათ გადარჩენის შანსი და ასე ცხვრის ქურქგადაცმულები ხომ არ შეძლებენ მოძლიერებას და ხელახლა ფეხზე წამოდგომას?***

— როგორც პარტია, რა თქმა უნდა, ისინი ვერც მოძლიერდებიან და ვერც წამოდგებიან ფეხზე. ისინი ჭაობში არიან და თუ იქ დარჩენას მოინდომებენ და იფართხალებენ, უფრო ჩაიძირებიან. ვინც ამ ჭაობს გაეცლება, ეს სწორედ ეს კატეგორიაა, ვისაც თქვენ ამბობთ, ვინც გადავა სხვა ბანაკში, ან დამოუკიდებელ პოლიტიკოსებად დაფიქსირდებიან, აქვთ, რა თქმა უნდა გადარჩენის შანსი. თუმცა ეს ტვირთი, ძალიან მძიმე ტვირთი, ყოფილი ნაციონალობის, მათ ზურგზე დააწვებათ. მათ შორის ორი კატეგორიაა, ერთი ვირთხების კატეგორია, რომლებიც ცდილობენ, რომ თავი გადაირჩინონ და ისინი ყველა ხელისუფლებას მოერგებიან და მეორე კატეგორია არის მართლაც შედარებით წესიერი ადამიანები, რომლებსაც საქმის კეთება შეუძლიათ, არ არიან ისე გასვრილები და მათ დროულად გადაწყვიტეს, ამ ჭაობს და სიბინძურეს გასცლოდნენ. თუმცა ვირთხების კატეგორია უფრო მეტია, რა თქმა უნდა, მათ ბოლომდე იმედი ჰქონდათ, რომ ნაციონალები სიტუაციას სათავისოდ შემოაბრუნებდნენ და ბოლო მომენტში, როცა დაინახეს, რომ მათი გემი საბოლოოდ ჩაიძირა, მხოლოდ მაშინ გაიქცნენ. აქაც გასარჩევია, ერთი საზომით და ერთი კრიტერიუმით მათაც არ უნდა მივუდგეთ. ეს ინდივიდუალურ გადარჩენას რაც შეეხება, თორემ რაც შეეხება პარტიის პოლიტიკურად გადარჩენას, მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ნაციონალები მკვდრეთით ვეღარ აღდგებიან.

***— თუმცა ახალი ხელისუფლებაც უქმნის მათ სასათბურე პირობებს, თუნდაც იგივე ოთხჯერ უზრდის დაფინანსებას...***

— სასათბურე პირობებს სწორედ იმიტომ უქმნის, რომ მათ ასეთი დისკრედიტებული ოპოზიცია აწყობთ. მათ იციან, რომ ვერასოდეს ვერ გაიმართება წელში ნაციონალური მოძრაობა და რა სჯობია ასეთ ოპოზიციას, რომლისგანაც შენ საფრთხე არ გემუქრება.

***— მერე ეს რამდენად დემოკრატიული და სამართლიანია?***

— რა თქმა უნდა, არც დემოკრატიულია და არც სამართლიანი, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა და ყველა პოლიტიკოსი ერთი ჯიშის არის, ასე რომ ვთქვათ. მათი მთავარი მიზანი არის ხელისუფლების მოპოვება და ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. პოლიტიკური მიზნები ხშირად მოითხოვს ასეთ ქმედებას და ისინიც მიდიან ამაზე, რას ვიზამთ, ასეთია პოლიტიკა და ასეთები არიან პოლიტიკოსები. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მისაღები არ არის.

# ნაცმოძრაობის დაფინანსება ოთხმაგდება, „ქართული ოცნების“ კი — 24-ჯერ იზრდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გაფორმება, რომლის ტექსტი ასეთი იყო: ჩვენ, ინტერფრაქციულ ჯგუფში შემავალმა პარტიებმა, მივაღწიეთ კომპრომისს და შევთანხმდით იმ ცვლილებებზე, რომ ის ცვლილებები, რომელიც განხორციელდა, გააუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, ჩვენ არამც თუ ხელი არ მოვაწერეთ ამ მემორანდუმს, არამედ ჩვენი უარყოფითი პოზიცია დავაფიქსირეთ ამ მემორანდუმის ტექსტში. აშკარაა, რომ ეს ცვლილება არა თუ გააუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, არამედ პირიქით, გააუარესებს. საარჩევნო გარემო უფრო პოლარიზებული იქნება. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ძალისთვის იქნებოდა ერთი ათად მომატებული რესურსები, დანარჩენები რჩებოდნენ ძველ ნიშნულზე. ამას სჯობდა ძველი ვარიანტი დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, არსებული კანონი კარგი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უფრო უარესი არ არის იმაზე, რასაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს. საბედნიეროდ, ეს ცვლილება არ შევიდა, ამას არ მოაწერეს ხელი ასევე ქრისტიან-დემოკრატებმა, მწვანეთა პარტიამ საპარლამენტო გუნდიდან. ჩვენი ინფორმაციით, როცა ატყდა აურზაური ამის გამო, ბატონმა ივანიშვილმა დაბლოკა ეს ცვლილებები და მიგვაჩნია, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. მმართველი გუნდი მაქსიმალურად ცდილობს ჩაებღაუჭოს ძალაუფლებას.

***— თქვენ კონკრეტულად რა შეთავაზება გქონდათ?***

— იყო რიგი ცვლილებები, რაც ეხებოდა საარჩევნო კომისიებში წევრების რაოდენობას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვას, რაღაცა ამოკრიფეს, რაღაცა შეცვალეს ისე, როგორც მათ სურდათ. ვიმსჯელებდით საკითხებზე და მერე ხდებოდა ჩვენი ფაქტის წინაშე დაყენება.

***— მედიასთან დაკავშირებით და ტელეეთერის გამოყენებაზე რა რეგულაციები და რა შეზღუდვებია?***

— ამ კუთხით ცვლილებები არ შედის და არც ჩვენ გვქონდა გათვალისწინებული, კანონი უფასო საეთერო დროს ითვალისწინებს მხოლოდ კვალიფიციური სუბიექტებისთვის, ჩვენ ამაში არ შევდივართ. რადგან კანონი ამას გვეუბნება, ჩვენ ვემორჩილებით მას, ჩვენი თანხებით უნდა განვახორციელოთ ეს საარჩევნო კამპანია, მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ ამ არჩევნებში. ჩვენ ახლა ამ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არაფერს ვითხოვდით, ვიცოდით, რომ ყველა კანონს უნდა დაემორჩილოს. მხოლოდ იმას ვითხოვდით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად რა ნებასაც ხალხი გამოხატავდა, იმის ადეკვატურად მიგველო კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი. ამას ვერ მივაღწიეთ, ამით აკნინებენ საპრეზიდენტო არჩევნების როლს, ეს მეტყველებს არაკომპეტენტურობაზე, როცა პარტიის ლიდერი იყრის კენჭს, ცხადია, რომ პარტიის ჩართულობა არის ამ არჩევნებში და შეგნებულად ზღუდავენ პარტიების როლს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. ეს საგანგაშო სიგნალია და გვაძლევს იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ შესწევს უნარი ჩაატაროს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. ეს ხომ არ არის მხოლოდ არჩევნების დღე, არჩევნების დღეს ძნელია რაიმე გააყალბო, მაგრამ როცა ხელისუფლებაშია პოლიტიკური გუნდი, ბევრი საშუალება აქვს, გააყალბოს არჩევნები, შექმნას ისეთი გარემო, რომ უბანზე დისკრიმინაცია მოახდინოს პარტიების და შედეგი უკვე ისეთია, როგორიც სახელისუფლებო ძალას უნდა. ერთი პოლიტიკური ძალა დარჩება უმოქმედოდ, ხოლო მეორე პოლიტიკურ ძალას ექნება ყველა საშუალება, ჩაატაროს ფართომასშტაბიანი საარჩევნო კამპანია.

***— ბუნებრივია, რომ ამ ვითარებას ეთანხმება ნაციონალური მოძრაობა, ისეთი მოხერხებული კოჰაბიტაციური ურთიერთობა აქვს, ისიც იღებს ამ ბონუსს.***

— რა თქმა უნდა.

***— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ცდილობს შეზღუდოს სხვა პარტიების საქმიანობა და პოლიტიკური ველი გაწმინდოს?***

— ეჭვი მიჩნდება, რომ მცდელობაა პოლიტიკური სივრცის მონოპოლიზაციისა, ამას თან რომ დაურთოთ ეს კოჰაბიტაციური პროცესი, რაც ემსახურება ნაცმოძრაობის რეანიმაციას, ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდი კომფორტულად გრძნობს თავს ამ პირობებში, როცა მას ჰყავს ე.წ. ვითომ ოპოზიცია, რომელსაც ხალხის და ქვეყნის წინაშე უამრავი დანაშაული მიუძღვის, მისთვის მომგებიანია ეს ოპოზიცია, ვიდრე ჰყავდეს ძლიერი და მიუკერძოებელი ოპოზიცია.

***— თუ ყოფილა თქვენგან წინადადება, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი განეხილათ?***

— ამის მოთხოვნა არ ყოფილა ჩვენგან, ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის ფორმატი ამას არ ითვალისწინებდა. კონკრეტულ საკითხებზე ვმუშაობთ, ეს ფორმატი არ ითვალისწინებს პოლიტიკურ დებატებს ზოგადად. დემოკრატიული მოძრაობა იზიარებს საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე, არც ერთმა პარტიამ რომ არ დააყენოს ეს მოთხოვნა, საზოგადოება ამას აუცილებლად მოითხოვს.

***— ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა ფაქტობრივად ჩიხში შევიდა, ეს ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოების მეშვეობით. როგორ ხედავთ ამ ჩიხიდან გამოსვლის პერსპექტივას?***

— ეს მარტივი საკითხი არ არის, ეს ჩიხი გაჩნდა ხელისუფლების ამბიციების გამო. ყველა ვითარებიდან არსებობს გამოსავალი, ეს არის დიალოგი. ამ ჩიხიდან გამოსვლის გზა მხოლოდ სამართლიანობაზე გადის. „ქართულმა ოცნებამ“ ხელი უნდა აიღოს ნაცმოძრაობის მეთოდებზე, ეს არის დემოკრატიულობის ილუზია და პროცესები პოლიტიკური სივრცის უზურპაციას არ უნდა გულისხმობდეს.

# კახა კუკავა: „ივანიშვილს ვიღაცამ უნდა უთხრას, რას უკეთებენ მისი გუნდის წევრები"

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური პროცესები ისე ვითარდება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდს შეეფერება. არასაპარლამენტო ოპოზიცია 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის დაფინანსებას ითხოვს. საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე დავით უსუფაშვილმა ოპოზიციას უთხრა, არჩევნების შემდეგ დავუბრუნდები ამ საკითხსო. ოპოზიციამ პარლამენტის თავმჯდომარის ეს შეთავაზება ცივ შხაპად მიიღო.

კახა კუკავას და ჯონდი ბაღათურიას იმედი აქვთ, რომ პრემიერ-მინისტრს არა აქვს სრული ინფორმაცია და ამიტომაც პირადად ივანიშვილთან ითხოვენ შეხვედრას.

12 არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ჩაშლილ მოლაპარაკებაზე მთლიანად პასუხისმგებლობას პრემიერს აკისრებს.

გუშინ, ოპოზიციური პარტიები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ჩაშლილი მოლაპარაკების საკითხები განიხილეს.

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა კახა კუკავამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია გააგრძელებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ინფორმირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კუკავას განცხადებით, არასაპარლამენტო ოპოზიციის აქტივობებისა და მედიაში გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ, რომელიც პარლამენტის მიერ 2 საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის შეჩერებას და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ მიღწეულ შეთანხმებებს ეხებოდა, მმართველი პარტიის მხრიდან გამოხმაურება და პირდაპირ კონტაქტზე გამოსვლა არ მომხდარა.

„ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განცხადებით, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის უკვე მიღწეული შეთანხმება, რომელიც 2 კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებაშიც გამოიხატა, მოულოდნელად ჩაიშალა.

აზრთა სხვადასხვაობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მემორანდუმმა გამოიწვია. ოპოზიციის აზრით, ერთ-ერთი საკითხი პოლიტიკური სუბიექტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების თემა იყო.

საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირებით, ოპოზიციის აზრით, რამდენიმე პრობლემური საკითხია მოსაგვარებელი: ამომრჩეველთა სიები, პარტიათა დაფინანსება და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა.



— ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. ეს ადამიანები უშუალოდ იყვნენ ამ პროცესში ჩართულები. საინტერესო იყო მათი რეკომენდაციები. მათი მხრიდან აღინიშნა, რომ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს. ცალმხრივად დარღვეული შეთანხმება ვერც იმედს და ვერც ღირსებას ვერ მატებს არც ხელისუფლებას და არც პროცესს. თუ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა შეთანხმებული ვერსიები, ჩვენ გავაგრძელებთ მოქმედებას. თუ საარჩევნო გარემოს ავტორიც და მომწონებელიც მხოლოდ „ქართული ოცნება" იქნა, მაშინ ეს არის იმ სიმღერის გადამღერება, რომელიც არაერთგზის მოგვისმენია. „მოქალაქეთა კავშირს" მოსწონდა თავისი საარჩევნო გარემო, ასევე მოსწონდა მის მიერ შექმნილი საარჩევნო გარემო ნაციონალურ მოძრაობას, „ქართულ ოცნებასაც" თუ მოეწონა თავისი საარჩევნო გარემო, მაშინ ის დაადგება ნაციონალური მოძრაობისა და „მოქალაქეთა კავშირის" გზას, რაც ცუდი არ არის პოლიტიკისთვის, მაგრამ ცუდი იქნება სახელმწიფოსთვის და პროცესების განვითარებისთვის. თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის იგნორირება გაგრძელდა, ჩვენ ვიმოქმედებთ და ეს მოქმედება რეზულტატამდე მივა, — აცხადებს მამუკა კაციტაძე.



„თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას თქმით, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ 20%-იანმა მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში 60% მიიღოს.

კუკავას განცხადებით, არჩევნების თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების შანსი სულ უფრო მცირდება.

— იმ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით პრემიერის მხრიდან მხოლოდ განცხადების გავრცელება საკმარისი არა, — აღნიშნა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა დარწმუნებულია, რომ საარჩევნო საკითხებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ინფორმაციას არ ფლობს. კუკავას თქმით, პრემიერთან 15 წუთიანი შეხვედრა მეტ შედეგს მოიტანს, ვიდრე ინტერფრაქციულ ჯგუფში ქუცნაშვილთან თვეების განმავლობაში მუშაობა. კახა კუკავა იმ შეხვედრის დეტალების შესახებაც ყვება, რომელიც ურეკში საპარლამენტო უმრავლესობის წევრებსა და პრემიერ-მინისტრს შორის გაიმართა.

— ურეკში გამართულ შეხვედრაზე ,,მწვანეთა პარტიის" ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ პარტიისთვის დაფინანსების გამოყოფა ითხოვა. ივანიშვილმა დეპუტატებს მიმართა, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა ,,მწვანეთა პარტიისთვის" თანხა გამოეყოთ.

იქ ვერც უსუფაშვილმა და ვერც ვერავინ პრემიერს ვერ უთხრა, რომ ამ პარტიის საკითხი მემორანდუმში გათვალისწინებული არ იყო. იმის გამო, რომ ივანიშვილს ვერაფერი უთხრეს, საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნეს.

თუ მათ პრემიერთან საუბარი ერიდებათ, მე ამის პრობლემა არ მაქვს. ივანიშვილს ვეტყვი, რასაც მისი გუნდის წევრები უკეთებენ. ყველაზე მეტად ,,ქართულ ოცნებას" დააზარალებს ის, თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მარგველაშვილი მხოლოდ ,,ქართული ოცნების" პრეზიდენტი იქნება და არა ქვეყნის. ნათლად გამოჩნდა ,,ქართულ ოცნებაში" გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა. ყველაფერი ერთ ადამიანზეა დამოკიდებული, — ამბობს კახა კუკავა.

„ახალი მემარჯვენეების" წევრის მამუკა კაციტაძის განცხადებით, მმართველ გუნდსა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს.

— მმართველმა გუნდმა უნდა აიღოს ვალდებულება და შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც 9 ივლისს ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრაზე ერთობლივად მიღებულ მემორანდუმშია გათვალისწინებული. ამ პრობლემის გადაჭრა პრემიერთან შეხვედრის გარეშეც არის შესაძლებელი, მაგრამ რადგანაც კოალიციის პოლიტიკური საბჭოში შეიცვალა ეს საკითხი, ეს პრემიერის პასუხისმგებლობაცაა. ამ საარჩევნო გარემოს მხოლოდ „ქართული ოცნების" საარჩევნო გარემო არ უნდა დაერქვას, ყველა პოლიტიკურ პარტიას საკუთარი შეხედულებების გამოხატვა თანაბარ პირობებში უნდა შეეძლოს, — განაცხადა კაციტაძემ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრი ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებას" სურს პროცესი გაიმარტივოს და წარმოაჩინოს ისე, თითქოს ოპოზიციას მხოლოდ დაფინანსების საკითხი აინტერესებს და ფულის მიღება უნდა, რაც თავისთავად არასწორია.

ვეფხვაძის თქმით, საქმე ეხება ისეთი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც ყველას თანაბარ პირობებში ჩააყენებს.



— არასაპარლამენტო ოპოზიცია გაჩერებას არ აპირებს, რადგან დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საარჩევნო გარემოზეა დამოკიდებული. — აღნიშნავს ლევან ვეფხვაძე.

ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის უკვე მიღწეული შეთანხმება, რომელიც 2 კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებაშიც გამოიხატა, მოულოდნელად ჩაიშალა. აზრთა სხვადასხვაობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მემორანდუმმა გამოიწვია. ოპოზიციის აზრით, ერთ-ერთი საკითხი პოლიტიკური სუბიექტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების თემა იყო.

საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირებით, ოპოზიციის აზრით, რამდენიმე პრობლემური საკითხია მოსაგვარებელი: ამომრჩეველთა სიები, პარტიათა დაფინანსება და საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა.

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია ითხოვს, რომ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე პრემიერი არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვდეს.

აღნიშნული მოთხოვნა გუშინ ჟურნალისტებთან სასტუმრო „რედისონში" არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა დააყენეს, სადაც არასაპარლამენტო ოპოზიციისა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული ის საკითხებია, რომლებიც ბოლო პერიოდში მმართველ გუნდსა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის უთანხმოების მიზეზი გახდა.

— ჯერ არსად მინახავს ისეთი პრეცედენტი, როცა 20 პოლიტიკური სუბიექტი საერთაშორისო დონეზე საარჩევნო რეფორმაზე თანხმდება, შემდეგ პარლამენტში მისი ინიცირება ხდება და ამის მერე ხელისუფლება აცხადებს, რომ თავის ვალდებულებების შესრულებას არ აპირებს. დღევანდელ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩავაყენებთ საქმის კურსში, თუ რამ გამოიწვია მემორანდუმის შეფერხება, — განაცხადა ბაღათურიამ.

მისივე თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის პრემიერს დიდი პოლიტიკური წონა აქვს, კარგი იქნება მასთან შეხვედრა და წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული ყველა საკითხის გავლა.

— ჩვენ სამართლიან საარჩევნო გარემოს ვითხოვთ. ვითხოვთ ლეგალურად არსებობის საშუალებას. მათი სიტყვის გატეხვით პროცესი ჩიხში შეიყვანეს. ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ გზად პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მიგვაჩნია. მისი პასუხისმგებლობაა ქვეყანაში სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. მას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. სასურველია, რომ შეხვედრა მიმდინარე კვირას შედგეს პრემიერთან, მომდევნო კვირას ჩვენ შეხვედრას დიპლომატიურ კორპუსთან გავმართავთ. იმედი მაქვს, ამ ჩიხიდან გამოსვლა სწორედ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ იქნება შესაძლებელი, — ამბობს ბაღათურია.

სასტუმრო „რედისონში" შეხვედრას ოპოზიციასა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძეც ესწრებოდა. კოჟორიძის განაცხადებით, მმართველი გუნდის მიერ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმის პირობების შეუსრულებლობა გამართლებული არაა.

— მმართველ გუნდს, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციას შორის მემორანდუმის ტექსტზე შეთანხმება შედგა და ხელიც მოეწერა, ამის შემდეგ უკვე შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობა გამართლებული არ არის. როგორც დღევანდელ შეხვედრაზე აღინიშნა, მათი თვითმიზანი პრემიერთან შეხვედრა არაა, მათი მიზანია, ამ პრობლემის მოგვარება. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პრემიერის გარდა, ამ საკითხის გადაწყვეტა სხვას არ შეუძლია და ამიტომ სურთ მასთან შეხვედრა, — განაცხადა კოჟორიძემ.

ოპოზიციას ხელისუფლების წარმომადგენელმა, უმრავლესობის წევრმა



ზაქარია ქუცნაშვილმა უპასუხა.

— თუ ვინმეს ჰგონია საარჩევნო გარემო მხოლოდ დაფინანსების ზრდისგან შედგება, ძალიან ცდება ან ეკონომიკური ინტერესების გადაფარვის მცდელობას აქვს ადგილი. დაასახელონ ნორმა, რომელი ნორმაც ჩვენ მოგვყავს და არ აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს. ჟურნალისტებმა ანალიზი უნდა გაუკეთოთ, ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ იტყუება, — ამბობს ქუცნაშვილი.



## ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთი ბრალდებული გაათავისუფლეს

ნათია ხურცილავა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი დღეს განახლდება. დღევანდელ პროცესზე, როგორც ცნობილია, ბრალდების მხარეს მოუსმენს სასამართლო.

გუშინ კი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს დავით ჩუბინიძეს მოსამართლემ აღმკვეთი ღონისძიება — პატიმრობა 15 000 ლარიანი გირაოთი შეუცვალა.

ბრალდებულმა აღნიშნული თანხა 20 დღის ვადაში უნდა დაფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი პატიმრობაში რჩება. პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. პროკურორის შაქრო ზაალიშვილის განცხადებით, მოსამართლემ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან დავით ჩუბინიძე სასამართლო პროცესზე უხეშად იქცეოდა და მოწმეებს ემუქრებოდა.

ასევე ჟურნალისტებთან საუბრისას პროკურორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 1998 წელს ჩუბინიძე მკვლელობისთვის გაასამართლეს და 2008 წელს ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა.

საქმეში სულ 8 ბრალდებულია და აქედან 7 გირაოთია გათავისუფლებული. პატიმრობაში მხოლოდ ბაჩო ახალაია რჩება. საქმე ეხება შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში 7 სპეცნაზელის წამებას. დავით ჩუბინიძეს ბრალად ედება წამება, დამამცირებელ და არაადამიანურ მდგომარეობაში პირის ჩაყენება.

# რატომ უქმნის სააკაშვილი აფხაზეთის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს პრობლემებს

შორენა მარსაგიშვილი

16 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს „ნორმატიული აქტების შესახებ" კანონში ცვლილების შეტანის შესახებ ვეტო დაადო.

პრეზიდენტის ვეტო მოტივირებულია იმით, რომ „იწვევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით რეგულირებად საკითხებში ჩარევას". პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „საკანონმებლო ცვლილებების ნაცვლად, მიზანშეწონილია, შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა იმოქმედონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით. მით უფრო, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტები ნათლად განსაზღვრავენ, როგორც შესაბამისი თანამდებობის პირის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურებს, ისე ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების მიღებისა და გამოცემის წესს".

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები გამოითქვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრთა მხრიდანაც. ვეტოს თხოვნით პრეზიდენტს მიმართა დევნილთა საინიციატივო ჯგუფმაც.

ამასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

**რაისა ქარაია,** უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოალიცია „ქართული ოცნება – ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველო" თავმჯდომარე:

– სიმართლე გითხრათ, მას მერე, რაც პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპრეოქტებს წარა-მარა ადებს ვეტოს, არც გამკვირვებია... რატომ უნდა ყოფილიყო ეს გამონაკლისი? თუმცა აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხი იყო ძალიან მარტივი და ადვილად გადასაწყვეტი და რაც მთავარია ლოგიკურადაც და სამართლებრივადაც გამართლებული. ანუ საქმე ეხება თავის დროზე უმაღლესი საბჭოს კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის შეკრული ხელფეხის გახსნას. სხვათა შორის, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უფლებები სწორედ ბატონ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს შეიზღუდა და ყველაზე უფრო დიდი სიმახინჯე მაშინ მოხდა, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ დაწესებულებას, ამ შემთხვევაში იუსტიციის დეპარტამენტს სრული ვეტოს უფლება მიენიჭა. ეს არა მარტო წინააღმდეგობაში იყო კანონმდებლობასთან, ამით ადამიანის უფლებებიც დაირღვა. უმაღლესი საბჭო არის საკანონმდებლო ორგანო და მის მიერ მიღებული კანონების საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნება ან არგამოქვეყნება, ანუ ამოქმედება დამოკიდებული იყო და დღემდე არის იურიდიული დეპარტამენტის ნება-სურვილზე. ეს ხომ ნონსენსია! სწორედ ამის გამოსწორებას ემსახურებოდა ეს კანონპროექტი.

– ***ქალბატონო რაისა, როგორ „მოხვდით" ამ ნონსენსში?***

– ეს ჩვენი დეპუტატების შეცდომაცაა, მაგრამ ამისთვის თვალყურის მიდევნება ძირითადად ევალებოდა უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, მაგრამ ამ კანონდაღვევას მან გზა გაუხსნა იმით, რომ ვერ ჩაწვდა მის ნიუანსში, რაც კომისიის თავმჯდომარის პირდაპირი მოვალეობა იყო. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი თანამდებობიდან გათავისუფლების. ასეთი უნიათობა ბოროტად იქნა გამოყენებული მთავრობის წევრების მიერ და მივიღეთ ის, რის გამოსწორებასაც დღეს ამდენი ჭიდილი სჭირდება. ახლა რჩება ვეტოს დაძლევის გზა. პარლამენტს, სხვა კანონპროექტების მსგავსად, აქვს ვეტოს დაძლევის შესაძლებლობა. ვფიქრობ, რომ ასეც იქნება, რადგან ეს კანონპროექტი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გავიდა სამივე მოსმენით. წარმოდგენილი არ მაქვს, მთავრობის წევრები, რომლებსაც უმაღლესი საბჭო ამტკიცებს, როგორ აპირებენ კონფრონტაციის გზით ხელისუფლებაში ყოფნას? ჩვენ ხომ აზრადაც არ მოგვსვლია ანგარიშსწორება მთავრობის წევრებთან, რომლებიც გ. ბარამიას თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ავტომატურად ითვლებოდნენ დათხოვნილად, პირიქით, გავუგრძელეთ მათ უფლებამოსილება. რადგანაც თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საკითხი კანონში გაწერილი არ იყო, გადავწყვიტეთ ამ ჩიხურ სიტუაციაში მთავრობას სათავეში ჩადგომოდა ერთ-ერთი ავტორიტეული დეპუტატი. ამაში გვდებენ ბრალს? მაგრამ ამის აკრძალვაზე არსად არ წერია. უმაღლეს საბჭოს აქვს უფლება დანიშნოს დროებით მოვალეობის შემსრულებელი. იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვერ დაიოკა თავისი ამბიციები და მთავრობაში ჩვენს საწინააღმდეგო შეთქმულებებსა და ვაკხანალიებს ხელმძღვანელობდა, რის გამოც მივმართეთ პარლამენტს საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც აფხაზეთის კანონმდებლობაში არსებული ცალკეული ხარვეზების გამოსწორებაში დაგვეხმარებოდა.

– ***თუ ვეტოს დაძლევა შესაძლებელია, დროის მოგების გარდა რას აძლევს „იმ მხარეს" ეს ჭიდილი?***

– მინდა დავამშვიდო ვეტოს „გულშემატკივრები": ვეტოს დაძლევას პროცედურულად დასჭირდება დაახლოებით 2 კვირა, რის შემდეგაც მთავრობის საქმიანობა სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა, რაც ყველა მხარეს უნდა აწყობდეს. დღეს კი მთავრობის მუშაობა მისი უფლებამოსილებაგაგრძელებული წევრების მცდელობით ფაქტიურად პარალიზებულია, რასაც ძალიან მალე ბოლო უნდა მოეღოს.



**ჯემალ გამახარია,** უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის კონფიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე:

– რახან ეს იყო ელემენტარული და უმარტივესი საკითხი, რა თქმა უნდა, ვეტოს არ ველოდი. არსად მსოფლიოში და არც საქართველოს კანონმდებლობით აღმასრულებელ ხელისუფლებას არა აქვს უფლება შეზღუდოს საკანონმდებლო ორგანო თავის საქმიანობაში. გარდა ამისა, ჩვენ გვეგონა, და, როგორც ჩანს, ვცდებოდით, რომ პრეზიდენტს არავითარ შემთხვევაში არ აწყობს კრიზისი და არეულობა ხელისუფლების ამა თუ იმ დონეზე, იქნება ეს ცენტრალური თუ ადგილობრივი. მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ის ე.წ. ფრაქცია, რომელიც ჩვენთან ქართული ოცნების სახელით შეიქმნა, ასევე აფხაზეთის ის ძველი მთავრობა, რომელიც ამ ფრაქციას ეყრდნობა, მართული ყოფილა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. ეს ჩვენთვის იყო სრული მოულოდნელობა.

– ***თუკი აფხაზეთის კანონში არსებობდა ხარვეზი, პრეზიდენტი ხომ მისი გამოსწორებით უნდა დაინტერესებულიყო და არა ვეტოთი?***

– საკითხავი სწორედ ეს არის, რატომ არ სურს პრეზიდენტს დროზე მოიხსნას ის ხარვეზები და გაუგებრობები, რაც არსებობდა აფხაზეთის კონსტიტუციაში. თავის დროზე პრეზიდენტმა მის მიერ შექმნილ მკაცრად ცენტრალიზებულ სისტემას მოარგო ჩვენი კონსტიტუციაც, მაგრამ იმ სისტემის დროს პრობლემები არ წარმომქმნილა. ახლა უკვე, როცა სისტემა ფაქტობრივად შეიცვალა, პრობლემამაც თავისთავად იჩინა თავი. ეს არ არის პირადად ვახტანგ ყოლბაიას ან, სხვათა პიროვნული პრობლემა. იგი წარმოშვეს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულმა გარდაქმნებმა, საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტოზე გადასვლის პროცესმა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს და ძალიან მალე დასრულდება. ყველა შემთხვევაში, ხარვეზები ჩვენს კანონმდებლობაში გამოსასწორებელია, მანამდე ვერც მთავრობას დავნიშნავთ და ვერანაირ საკანონმდებლო საქმიანობას ვერ ვაწარმოებთ. ამჟამად გარდამავალი პერიოდი მიმდინარეობს, ამიტომ გვყავს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი; ახლა საჭიროა კანონმდებლობის წესრიგში მოყვანა, რასაც პროცედურულად მოყვება იგივე ან სხვა კანდიდატურის წარდგენა პრეზიდენტისთვის. ეს არის და ეს! სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი ამ შემთხვევაში უკანონონობის და ქაოსის მხარეს აღმოჩნდა.

ვეტოს გადალახვაში დარწმუნებული ვარ. საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმაც გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების მიმართ, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო უმაღლესი საბჭოს სახელით. დღეს მოქმედი ხელისუფლება – პარლამეტიც და მთავრობაც მხარს უჭერს უმაღლესი საბჭოს ძალისხმევას – დაამყაროს სამართლებრივი წესრიგი ლეგიტიმურ ხელისუფლებაში. ვინც ამას ხელს უშლის, მან შეიძლება ერთი ან ორი კვირით გაიხანგრძლივოს პარპაში და გააგრძელოს უკანონობა,რასაც რამდენიმე თვეა ისედაც სჩადიან, მაგრამ ყველა შემთხვევაში უკანონობა ძალიან მალე დამთავრდება.

– ***ბატონო ჯემალ, რატომ გახდა საქმე გამოსასწორებლად?***

– თავის დროზე, ეს დამატება აფხაზეთის კანონში ნორმატიული აქტების შესახებ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვეღო. იმედი მაქვს, რომ ჩვენ არა მხოლოდ გავათავისუფლებთ დაკავებული თანამდებობიდან იმ პიროვნებას, ვინც მოტყუებით თავს მოგვახვია ეს შესწორება, არამედ პასუხსაც მოვთხოვთ. ჩვენ დავიჯერეთ მისი ტყუილი, თითქოს ადგილი ჰქონდა ნორმატიული აქტების შესახებ აფხაზეთის კანონის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას. არავინ არ დაინტერესდა იმით, რა ეწერა საქართველოს კანონში ამასთან დაკავშირებით და ისე ბრმად მივეცით ხმა. მე გარწმუნებთ, ყველაფერი ეს იქნება გამოკვლეული. ვგულისხმობ იუსტიციის დეპარტამენტისა და მისი „ამბოხებული" თავმჯდომარის შეუფერებელ საქციელს. იმდენად დიდი იყო მაშინ ნდობა ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის, იუსტიციის დეპარტამენტის მიმართ, რომ ჩვენს ასეთ „გაცურებას" არ მოველოდით. ეს არის ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევა, რისთვისაც მას პასუხი მოეთხოვება.

## რატომ დააკავეს ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დაკავებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს:

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – რევაზ კარალიძე და ქრთამის აღებაში დამხმარე პირი საქართველოს მოქალაქე.

ამჟამად ორივე მათგანი დაკავებულია. გამოძიებამ დაადგინა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ – რევაზ კარალიძემ, რომელიც ამავდროულად იყო „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე", მისივე თანამზრახველთან წინასწარი შეთანხმებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ე.წ. ეკო პლიაჟის, ფიჭვნარის ტერიტორიაზე მდებარე 6000 კვ/მ ფართობის მიწის მასივის გასხვისებისა და შეღავათიანი საინვესტიციო პირობის დაწესებაში თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოითხოვა120 000 ლარი. მოლაპარაკების პროცესში, კარალიძემ და მისმა თანამზრახველმა მიწის შესყიდვით დაინტერესებულ პირს, აღნიშნული თანხიდან ავანსის სახით წინასწარ 30 000 ლარი გამოართვეს, რა დროსაც ორივე მათგანი, სამართალდამცველებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს" – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო, სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით აწარმოებს, რაც 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

## მამუკა არეშიძე: „ვინ დაიჯერებს, რომ დავით ბაქრაძე წინა ხელისუფლების ქმედებების შესახებ საქმის კურსში არ იყო"



ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, „ნიუსპრეს"-თან საუბარში, 26 მაისის აქციის დარბევასთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადებას ეხმიანება და აღნიშნავს, რომ ეფ-ბი-აი-ს ან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების საქართველოში მუშაობა, წინა ხელისუფლების პირობებში, იმაზე ხშირად ხდებოდა, ვიდრე ეს ხალხს წარმოუდგენია. შესაბამისად, პრეზიდენტის განცხადება მისთვის დიდ სიახლეს არ წარმოადგენს.

ექსპერტის განცხადებითვე, როდესაც ქვეყანაში მსგავსი რამ ხდება, ხელისუფლების ყველა მაღალი ეშელონის თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ შეუძლებელია ამის შესახებ, თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს ინფორმაცია არ ჰქონოდა და თუ არ ჰქონდა, გამოდის, რომ ქვეყნის მეორე პირს არც ერთ საქმეში არ ახედებდნენ.

,,დავით ბაქრაძეს რომ ჰკითხოთ, იტყვის რომ საქმის კურსში არ იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დავით ბაქრაძის პოზიცია ძალიან საინტერესოა. როგორ მეორე პირმა არაფერი არ იცოდა რა ხდებოდა საქართველოში? როგორ დავიჯეროთ, რომ ამდენი სპეცსამსახურის ქვეყანაში მოქმედების შესახებ ინფორმირებული არ იყო? აქედან გამომდინარე, მეორე პირს ან არაფერში არ ახედებდნენ, ან არავის არაფერში არ სჭირდებოდა. ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც მაშინდელ მინისტრებს, ასევე, მინისტრის მოადგილეებსაც. საერთოდ, ყველა თანამდებობის პირს, ვინც მაშინ მოქმედებდა ქვეყანაში"– აღნიშნა არეშიძემ.

**ნიუსპრესი**

## ვალეს საბაჟოზე არადეკლარირებული 100 000 აშშ დოლარი ამოიღეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტომ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტში, არადეკლარირებული 100 000 აშშ დოლარი ამოიღეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა არადეკლარირებული თანხა, საბაჟო გამშვებ პუნქტში, სამგზავრო ავტობუსის დათვალიერებისას, სპეციალურად მოწყობილ სამალავში აღმოაჩინეს. აღნიშნული თანხის საქართველოს ტერიტორიაზე მალულად შემოტანას ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1971 წელს დაბადებული ჰასან ა. საბაჟოს გვერდის ავლით ცდილობდა. ჰასან ა-ს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი – ჯარიმა შეეფარდა და არადეკლარირებული თანხა სრულად ჩამოერთვა. შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო, საზღვარზე არალეგალურად გადმოტანილი არადეკლარირებული თანხის შემოტანის კონკრეტული მიზნების დასადგენად მუშაობას აგრძელებს.

**ნიუსპრესი**

## ამერიკის საელჩო სააკაშვილის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც , 26 მაისის აქციის დარბევას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან ეფ-ბი-აი-ს თანამშრომლები სპეციალური მონიტორებით აკვირდებოდნენ, - კომენტარს არ აკეთებს.

ისინი ინფორმაციას არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საელჩოში კომენტარის გაკეთება ჯერჯერობით არ იგეგმება.

როგორც საელჩოში „ნიუსპრესთან" საუბარში განაცხადეს, მათი პასუხი არის ის, რომ არაფერს არ ადასტურებენ და არც რაიმე განმარტების გაკეთებას აპირებენ.

„რაიმე ცვლილებების შემთხვევაში, აუცილებლად საგანგებო განცხადებას გავავრცელებთ" - აცხადებენ საელჩოში.

შეგახსენებთ, რომ 26 მაისის აქციის დარბევისა და მასში ამერიკული ეფ-ბი-აი-ს ჩართვის საკითხს, მიხეილ სააკაშვილი სტუდენტებთან შეხვედრისას შეეხო და განაცხადა, რომ 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ეფ-ბი-აი-ს ჯგუფი, მიტინგის დაშლის ყველა ეტაპს თვალყურს მონიტორებზე ადევნებდა, რის შემდეგაც მათ სათანადო დასკვნა დაწერეს.

**ნიუსპრესი**

# ვარსკვლავებს ექიმებიც იმსახურებენ

მერი ნამორაძე



მაინც რომელია ყველაზე დაუფასებელი პროფესია ამქვეყნად? ადამიანის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობის აღება, მის გადასარჩენად ღამეების თევა და თვის ბოლოს გროშების გასამრჯელოდ მიღება, ჩვენს ქვეყანაში ექიმთა ხვედრია. ექიმობა ჯერჯერობით კვლავ დაუფასებელ პროფესიად რჩება და სხვებმა რომ არა, ისევ მედიკოსებმა გადაწყვიტეს დამსახურებული, ჭეშმარიტად პროფესიონალი ექიმები დააფასონ და ვარსკვლავი გაუხსნან. იდეა ამჟამად პენსიაში მყოფ ქირურგს, ბატონ ჯუმბერ ჩანტლაძეს ეკუთვნის.

**ჯუმბერ ჩანტლაძე:**

– ჩემმა მეგობარმა, მსახიობმა ჯემალ ღაღანიძემ თავის იუბილეზე დამპატიჟა. ძალიან საყვარელი მსახიობია, ხალხს უყვარს. ჩემთვის ვფიქრობდი, ექიმებს ლანძღვის მეტი არაფერი აქვთ. რომ იცოდეთ, ექიმები როგორ ცხოვრობენ... ჩვენზე მეტი ენერგიის ხარჯვა, ფიქრი, ღამეების თევა არც ერთი პროფესიის ხალხს არ უწევს. არც მსახიობებს, არც პედაგოგებს... ერთ ექიმს რომ მძიმე ავადმყოფი ჰყოლია, მთელი კლინიკა არ წასულა სახლში იმ ფიქრით, რომ ვაითუ მე კოლეგას დავჭირდე ანალიზზე, ან სხვა დახმარება დასჭირდეს. ასეთ ქირურგს თუ ცხოვრებაში ერთხელ რაღაც შეეშალა, მისდგებიან... იმას კი არ იტყვიან, რამდენი კარგი გაუკეთებია. ახლახან ერთ დამსახურებულ ექიმთან შვილის ფეხზე გადაღებული სურათით მივიდა ქალი, რომელსაც მანქანამ გადაუარა. ნახა ექიმმა, მოტეხილობა არ იყო. მაინც დაადო თაბაშირი, გაუშვა სახლში. მერე სხვა ექიმთან მიიყვანეს, იმან გადაუღო ხელმეორედ სურათი და ნახა ქვემოთ მოტეხილობა. ამაზე ატყდა ამბავი, ექიმს მოტეხილობა შეეშალაო. არადა, შენ ხომ სურათი მოიტანეო, კაცო?! ამის გამო ის კაცი დასაჯეს. ეს ადამიანები დაუმსახურებლად მიდიან ამქვეყნიდან. გადავწყვიტე, რომ ექიმები იმსახურებენ ვარსკვლავს. ეს იდეა სამსახურში მომიწონეს. ვთქვი, რომ 90 წელი უსრულდება ირაკლი ციციშვილს, თურქეთიდან ჩამოდიან მასთან ავადმყოფები, სულ რიგები აქვს, უპრიანი იქნებოდა, მისთვის გაგვეხსნა ვარსკვლავი. აიტაცეს ეს იდეა მედიკოსებმა. ამ იდეის ავტორი გავხდი, მაგრამ ვინ დაგაფინანსებს? არავინ. მოვახერხეთ მაინც ვარსკვლავის გაკეთება, რომელიც 2000 ლარი ღირს, მაგრამ მოვახერხეთ 800 ლარად დაგვემზადებინა და გავუხსენით ვარსკვლავი ჟვანიას კლინიკაში ბატონ ირაკლის.

ახლახან გავუხსენით კიდევ ბატონ ლევან ჭაჭიაშვილს რკინიგზის საავადმყოფოში. გეგმაში გვაქვს კიდევ დამსახურებული ადამიანებისათვის ვარსკვლავის გახსნა. დამსახურებულ ექიმობაზე კი არ არის მხოლოდ საუბარი, ჯერ უნდა იყოს კაცი ადამიანი, პიროვნება, შემდეგ მოდის მისი სპეციალობა და სიყვარული ხალხის მიმართ. ასეთები ჩვენ ბევრი გვყავს. თუნდაც, სისხლძარღვთა ქირურგი, მამუკა ბოკუჩავა, უნდა ნახოთ, როგორი პიროვნებაა. ასეთი ადამიანები აბსოლუტურად არ ჩანან.

***– ბატონო ჯუმბერ, საქართველოში, არცთუ შორეულ წარსულში, ერთობ დაფასებული პროფესია იყო ექიმობა, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ექიმები. ახლა რა მოხდა, რატომ შეიცვალა დამოკიდებულება?***

– არასდროს არ ყოფილა ასე, დაუმსახურებელ პროფესიად რჩებოდა და რჩება ექიმობა.

***– მაგრამ ევროპაში ასე არ არის!***

– ევროპაში როგორ არის იცით, ოპერაციას გიკეთებს კაცი და არც იცი, ვინ გიკეთებს. შენ იხდი ფულს, ის გიკეთებს. რამე რომ მოხდეს, ის კი არ არის დამნაშავე, ვინც ოპერაცია გააკეთა, არამედ მთელი კოლექტივია დამნაშავე. როგორ გესმით ექიმის დანაშაული? მან ჩაიდინა დანაშაული? ესე იგი დასახვრეტია? ასე როგორ შეიძლება. 2000 ავადმყოფი გადაარჩინა და ერთი თუ დაეღუპა, ამისთვის სჯიან?!

***– დღეს საუბარია იმაზე, რომ პაციენტის უფლება ხშირად ირღვევა, რას ფიქრობთ ამაზე?***

– რას ჰქვია პაციენტის უფლება ირღვევა! ვინ უნდა დაარღვიოს, ექიმი დაარღვევს? პაციენტის უფლებას თვითონ მთავრობა თუ დაარღვევს ან ფულს არ გადაუხდის, თორემ პაციენტი ექიმს თუ გადაუხდის მის შრომაში ფულს, რომელი ექიმია გიჟი, რომ იმას რაიმე დაუშავოს, როგორ გეკადრებათ! ექიმი პაციენტს თავს ევლება. ამის მაგალითად ისევ მამუკა ბოკუჩავა მინდა მოვიყვანო, თუ როგორი უნდა იყოს ექიმი თავისი მიდგომით, ხასიათით. ასეთი ბევრია, რომლებიც ავტორიტეტს უწევენ ექიმებს. ანუ მთავარი კრიტერიუმი ჩვენთვის ვარსკვლავის გადასაცემად არის ის, რომ ექიმი იყოს არაჩვეულებრივი მოქალაქეც, კარგი ექიმიც, კარგი პედაგოგი და აღმზრდელი. ამით იმსახურებს ვარსკვლავს.

***– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე რა აზრის ხართ?***

– უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა. პაციენტი თითქმის სრულად დაფინანსებულია. ავად რომ გახდე, აღარ გეშინია. აღარც მანქანას ყიდი, აღარც სახლს ყიდი და აღარც აცხადებ ტელევიზიით – დამეხმარეთ! ზოგი 50 თეთრს ურიცხავს, ზოგი ლარს. ესეც მალე მოთავდება, ალბათ. ჩვენ გვაქვს ევროპული დონის კლინიკები. ბევრიც მოსაწყობია. ისეთი დაავადებები, რომელიც საჭიროებს ძვლის ტვინის გადანერგვას, ღვიძლის გადანერგვას, ჩვენთან ჯერჯერობით არ კეთდება. დაპირებულია ჯანდაცვის მინისტრი, რომ ძალიან მოკლე პერიოდში გაკეთდება კლინიკა, სადაც ასეთი ოპერაციები ჩატარდება და აღარ იქნება საჭირო ჩვენი პაციენტების გაშვება საზღვარგარეთ. რაშია საქმე იცით, არ უნდა იყო დაინტერესებული ფულით. ფული შენ მოგივა, ამხელა საქმეს რომ გააკეთებ. რაც სერგეენკომ გააკეთა, ეს ბიუჯეტის ხარჯვაა და რა გგონიათ, ეს ბიუჯეტი წინა მთავრობას არ ჰქონდა? კორუფცია მოსპეს, მაგრამ მინისტრები და ზედა ეშელონები ინაწილებდნენ ამ ფულს.

***– რამდენად ადეკვატურია იმ შრომის ფასი, რომელსაც მედიკოსები, თუნდაც ქირურგები იღებენ?***

– კარგ ქირურგს თითო ოპერაციაში აძლევენ 50-100 ლარს. მაქსიმუმ 120 ლარს ყველაზე დიდ ოპერაციაში. 2 ათასი ლარი თითქოს კარგი ხელფასია, მაგრამ ამაზე მეტს ვერ იღებენ ქირურგები, რაც უნდა კარგად იმუშაონ. არ ყოფნით. გაცილებით მეტი შემოსავალი შემოდის საავადმყოფოში და ვის აძლევენ ხელფასს? მთავარ ინჟინერს, ინჟინრის მოადგილეს, მთავარ ბუღალტერს, მის მოადგილეს, მოანგარიშეს, მოლარეს. ამათ ფულს ურიგებენ, არადა ექიმებს შემოაქვთ ფული. რატომ არის ასე, ვერ გავიგე. დღე და ღამ რომ მორიგეობა და ფული შემოაქვს, მოუმატე ამას ხელფასი! ნათქვამია, კაცი უნდა ეყოს ხელფასსო, მაგრამ ექიმების დატვირთვა ძალიან მძიმეა და ხელფასი ცოტაა. სერგეენკომ თქვა, რომ ეს გადაიხედება.

***– მედიკოსთა ახალ თაობაზე რას იტყვით, საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად უყურებს მათ კვალიფიკაციას და პროფესიონალიზმს.***

– ჩვენთან, ჟვანიას კლინიკაში, თაობები გაიზარდა. გადაყოლილნი ვიყავით, ისე ვასწავლიდით. ვერ გეტყვით, უნივერსიტეტში რა დონეზეა თეორიული სწავლება, მაგრამ პრაქტიკას რაც შეეხება, მაღალ დონეზეა ეს საქმე დაყენებული. არც ერთი სპეციალისტი არ ეტყვის სტუდენტს – მე შენთვის არ მცალია! ან მომცენ ფული და მაშინ გასწავლი. ასე არ არის.

***– ანუ საიმედო თაობის ხელში ვრჩებით?***

– საიმედო ხელში ვრჩებით. ბევრი რყევები მოხდა მედიცინაში, შეიცვალა ყველაფერი, თანდათან უკეთესობისკენ მივდივართ.

***– თქვენი პრაქტიკიდან რას გაიხსენებდით, ბატონო ჯუმბერ?***

– ლონდონში რომ ჩახვიდეთ, 24 კილომეტრში არის დასახლება, სადაც თუ იტყვით, რომ ჩანტლაძის ნაცნობი ხართ, შეგიძლიათ უპრობლემოდ იცხოვროთ 2 თვე და თუნდ 2 წელი.

***– ასეთი რა გააკეთეთ?***

– გადავარჩინე 18 წლის ბავშვი, რომელსაც არავინ ჰკიდებდა ხელს საოპერაციოდ. 20 დღის გახეთქილი ბრმანაწლავი ჰქონდა. ვერ მიხვდნენ. ალჟირში ვიყავი მაშინ და იქ იყო მამამისთან ეს ბავშვი. ინგლისელებს თავისი ექიმი ჰყავდათ, მაგრამ ის თერაპევტი იყო. ბავშვი ჩამოვიდა, შეჭამა რაღაც, ეგონათ მოიწამლა. ბრმანაწლავს ისეთი ნიშნები აქვს – ღებინება, მუცლის ტკივილი, მოწამვლა ეგონათ. თერაპევტმა კლიზმები უკეთა, ბრმანაწლავი გასკდა. რომ გასკდა, ტკივილები იხსნება. დაწყნარდა ყველა. არადა, ჩირქი მოედო ორგანიზმს, ავადმყოფი დამძიმდა ძალიან, მიიყვანეს კერძო ქირურგთან, რომელმაც უთხრა, რომ გარანტიას ვერ მოგცემთ, ოღონდ სასწრაფოდ უნდა გაკეთდესო ოპერაცია.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის საგანგებო განცხადება მინერალურ წყალზე გადასახადის ზრდასთან დაკავშირებით

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის სახელით, გვსურს გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია მინერალურ წყალზე გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხო მხოლოდ „ნაბეღლავსა“ და „ბორჯომს“. სამწუხაროა, რომ გადასახადის შემოღებამდე კომპანიებსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის კომუნიკაციის დეფიციტი იყო და ჩვენი ასოციაციის წევრების მხრიდან ვერ მოხდა სრულად არგუმენტების გაზიარება პარლამენტის წევრებისთვის, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო საქართველოს პარლამენტის მხრიდან საკითხისადმი არასაკმარისი დაინტერესებით. ამიტომ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და ფართო საზოგადოებასაც გავაგებინოთ რამდენიმე არსებითი პრობლემის თაობაზე, რომელიც წარმოიშვება ამ კანონის ამოქმედების შემდგომ:

- აღნიშნული გადასახადის გაზრდით ძლიერი დარტყმა მიადგება კომპანიების სამომავლო გეგმებს. მოსაკრებლის ზრდით ხდება წყლის მოპოვების 25 წლიანი ლიცენზიის გადახედვა, რაც ნეგატიურად აისახება როგორც „ნაბეღლავსა“ და „ბორჯომზე“, ასევე ზოგადად ბიზნეს გარემოზე, რადგან გრძელვადიანი კონტრაქტის პირობების გადახედვისა და, მით უმეტეს, შეცვლის შესაძლებლობაც კი შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიების განვითარების პერსპექტივებზე და უცხოელი ინვესტორების ინიციატივაზეც (და არამარტო ამ სექტორში), რაც შეიძლება გახდეს ინვესტიციების შემაფერხებელი მიზეზი და ზოგადად ცუდად იმოქმედოს ქვეყნის ბიზნესგარემოსა და საერთაშორისო იმიჯზე.

- აღსანიშნავია, რომ ამ გადასახადის შემოღებით ქართული კომპანიები ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირ გადასახადს გადაიხდიან. შედარებისთვის იტალიური მსოფლიო ბრენდის, მინერალური წყალი „სან-პელეგრინოს“ გადასახადი პეტის პროდუქციისთვის შეადგენს 1,2 ევრო/მ$^3$, ხოლო შუშის ბოთლისათვის 0,9 ევრო/მ$^3$, რაც დაახლოებით 10-12 ჯერ ნაკლები იქნება ქართული კომპანიების მოსაკრებელზე, მისი გაზრდის შემდგომ.

- უმნიშვნელოვანესი საკითხი არის ჭაბურღილებისა და საბადოების სისტემატიური კვლევისა და წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესებით გამოწვეული წყლის დანაკარგების საკითხიც. მოგეხსენებათ, კვლევაში გამოყენებული წყალი „გადაღვრილად“ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ის ინდუსტრიაში აღარ გამოიყენება და არ ხდება მისი ჩამოსხმა. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კვლევები მუდმივად უნდა კეთდებოდეს, რომ ამ ტიპის საბადოებში დადგინდეს მინერალური წყლის ზრდის პოტენციალი, ისე რომ, შენარჩუნებული იყოს მინერალური წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები, კომპანიების ზარალი დიდი იქნება, რადგანაც მათ უწევთ ე.წ. გადაღვრილ წყალშიც იგივე გადასახადის გადახდა, რაც წარმოებისთვის განკუთვნილ წყალში უწევთ. გადასახადის გაძვირებით,ფინანსურად, ექსპერიმენტების ჩატარება საბადოებში და თავად წარმოების პროცესი ძალიან გართულდება.

- არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია კომპანიების დისკრიმინაცია. მიგვაჩნია, რომ ერთი და იმავე ტიპის პროდუქტი და მათი მწარმოებელი კომპანიები სხვადასხვანაირად არ უნდა იბეგრებოდნენ, რადგან ეს არაჯანსაღ კონკურენციას უწყობს ხელს. საქართველოს ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია და კონკურენციის დონეც შესაბამისად მაღალია. ამ გადასახადის დაწესებით მხოლოდ ორი კომპანიისთვის, ხდება მათი კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის შემცირება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიებს პრობლემები შეექმნებათ არა მარტო შიდა, არამედ საექსპორტო ბაზარზეც.

- აღსანიშნავია კანონის დამტკიცებიდან, მის ამოქმედებამდე არსებული დროის სიმცირის საკითხიც. ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლობაში კომპანიებისათვის გონივრული დროით ადრე უნდა იყოს ცნობილი. დასავლეთში ნებისმიერი გადასახადის გაზრდის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება ხდება რამდენიმე წლით და არა სამი თვით ადრე, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია. კომპანიებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ ახალ პირობებს მოარგონ თავისი გრძელვადიანი გეგმები, მოახდინონ ფინანსების შესაბამისი რესტრუქტურიზაცია და სხვ. მით უმეტეს, ბუნებრივი რესურსის სარგებლობის გადასახადის 200%-ით გაზრდა დროში ემთხვევა არააქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების შესახებ კანონის შესაძლო ამოქმედებას, რაც თავის ძლიერ ფინანსურ დარტყმას მიაყენებს ჩვენი ასოციაციის წევრებსა და ზოგადად ქართველ მწარმოებლებს.

ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელიც, ჩვენი აზრით, შეაფერხებს კომპანიების წარმატებულ არსებობას ქართულ და საექსპორტო ბაზრებზე. მივმართავთ მთავრობას, დაიწყონ აქტიური კონსულტაციები კომპანიებთან, რომ სწრაფად გადაიჭრას ის პრობლემები, რომლის წინაშეც ვდგავართ. იმედს გამოვთქვამთ, რომ გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის წევრები გაიზიარებენ ჩვენს პოზიციას და შეძლებენ კომპრომისული გადაწყვეტილების მოძებნას პრობლემების გადასაჭრელად.

# „ექო თოფუზი“ საქართველოში მოგზაურობს

ეკა ირემაშვილი

ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“ საქართველოში მოგზაურობს. ფესტივალი ხობში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო.

ფესტივალის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ „ექო თოფუზმა“ მთელი ქვეყანა უნდა მოაიროს და ანიმაციის ხელოვნება ფართო საზოგადოებას კიდევ უფრო ახლოს უნდა გააცნოს.

„ანიმაციის განვითარების ფონდის“ ორგანიზებით, ახალციხეში უკვე გაიმართა ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“. ფესტივალზე ბავშვებმა ნახეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული უახლესი ანიმაციური ფილმები. თემაზე „ქართული ანიმაციის ისტორია“ ჩატარდა კონკურსი და გამარჯვებულ ბავშვებს გადაეცათ დივიდი დისკები ახალი ქართული ანიმაციური ფილმების კრებულით „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“.

ტრადიციულად ფესტივალის ფარგლებში გაიმართა უორქშოფი „ანიმაცია საზოგადოების სამსახურში“. პროფესიონალებთან ერთად, ანიმაციური ფილმის წარმოების პროცესში მონაწილეობა მიიღეს სამხატვრო სასწავლებლის მოზარდებმა. შეიქმნა სცენარი, დაიხატა ფილმისთვის პერსონაჟები და ფონები.

„ანიმაციის განვითარების ფონდის“ ორგანიზებით, ფესტივალი ჩატარდა ოზურგეთში, ურეკში და საჩხერეში.




უკვე ცნობილია, რომ ანიმაციური ფილმების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ ჩატარდება ბათუმში 2013 წლის 2-5 ოქტომბერს.

– „თოფუზი 2013“ – ეს არის ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ნებისმიერ ანიმატორს, რეჟისორსა და პროდიუსერს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი ნაშრომი. ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლას, ახალი იდეების ძებნასა და ქართული ანიმაციის ინტეგრაციას მსოფლიოს კინოს სამყაროში. თავისი ფორმატიდან გამომდინარე, ფესტივალი გულისხმობს ფილმების ჩვენებებს და მათ შემდგომ განხილვას. ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული დაუვიწყარი და სასიამოვნო საღამოები ხელს შეუწყობს ახალი მეგობრობისა და კონტაქტების ჩამოყალიბებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეები და სტუმრები ისიამოვნებენ სტუმართმოყვარე და მეგობრული ხალხის მიერ შექმნილი ატმოსფეროთი, – მიაჩნია ფესტივალის დირექტორს ზურაბ დიასამიძეს.

ფესტივალზე დაწესებულია ნომინაციები: „გრანპრი“, საუკეთესო ფილმი უფროსებისათვის, საუკეთესო საბავშვო ფილმი, საუკეთესო დებიუტი, საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი, საუკეთესო სერიალი, საუკეთესო ინტერნეტ ფილმი, საუკეთესო რეჟისურა, სუკეთესო სცენარი, საუკეთესო მუსიკა, საუკეთესო ტექნოლოგია, საუკეთესო ქართული ფილმი, ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი.

ფესტივალში მონაწილეობის მსურველებს წესების გაცნობისა და სააპლიკაციო ფორმის შევსების ვადა 31 ივლისს ეწურებათ. რაც შეეხება დაწესებული ნომინაციებიდან ერთ-ერთს – „საუკეთესო ინტერნეტ ფილმი“, ის შეირჩევა ვებ-საიტის მაივიდეო. ჯი ვიზიტორების მიერ. აღნიშნულ საიტზე ფილმები გამოქვეყნდება 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

– არ გამოტოვოთ შესაძლებლობა თავად გახდეთ შემფასებელი – თქვენი ხმა ძალიან მნიშვნელოვანია. უბრალოდ უყურეთ ფილმს და სურვილისამებრ მიეცით ხმა, – მიუწოდებენ ფესტივალის ორგანიზატორები ანიმაციის მოყვარულებს.

ფესტივალის შემქმნელები თვლიან, რომ:

– პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ კინემატოგრაფიის ანიმაციური ჟანრი დაუმსახურებლად მივიწყებული იყო საქართველოში. 2007 წლის 8 ნოემბერს დაარსდა ანიმაციის განვითარების ფონდი, რომელმაც სრული პასუხისმგებლობა აიღო კინემატოგრაფიის ამ ჟანრის აღორძინებასა და პოპულარიზაციაზე. ამ მიზნის მისაღწევად ფონდმა გაატარა შემდეგი ღონისძიებები: თანამშრომლობს ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ ანიმაციურ სტუდიასთან „მიფასი ფილმთან“ და ეხმარება პროექტ „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები“-ს განხორციელებაში, სადაც გაერთიანებულია საქართველოში ანიმაციის სფეროში მოღვაწე თითქმის ყველა კინემატოგრაფი

კინო დარგის ანიმაციური ჟანრის საქართველოში განვითარებისა და მისი ინტეგრაციისათვის მსოფლიო ანიმაციის სამყაროში, ფონდმა 2008 წლის აპრილში საქართველოში მოიწვია ბალტიის პირეთის ქვეყნებში ყველაზე მასშტაბურ და მსოფლიოში ცნობილ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „ბიმინი“. ეს ხელს უწყობს ანიმაციის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს რომ გაემგზავრონ საერთაშორისო ანიმაციურ ფესტივალებზე და უცხოურ ანიმაციურ სტუდიებში, რათა ახლოს გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს ანიმაციურ სამყაროში, გაიზიარონ გამოცდილება და მუშაობის სტილი.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს:

– კინემატოგრაფიის ანიმაციური ჟანრის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პოპულარიზაციის მიზნით, დაგეგმილი საფესტივალო გასვლითი ღონისძიებების ჩატარება რეგიონებში; ანიმაციურ სტუდია „მიფასი ფილმთან“ და სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმთან“ ერთად ფონდი მუშაობს საბავშვო ანიმაციური სტუდიის გახსნაზე; მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს რეგიონალურ ხემძღვანელობასთან და დაინტერესებულ პიებთან, საქართველოს რეგიონებში ანიმაციური სტუდიების გახსნის თაობაზე.

ფესტივალ „თოფუზის“ გუნდია – ზურაბ დიასამიძე (დირექტორი), არჩილ დიასამიძე (დირექტორის მოადგილე), ნიკა გელაშვილი (ტექნიკური ადმინისტრატორი), ნინო გიუნაშვილი (დიზაინერი), თეა ქებაძე (დიზაინერი).

ფესტივალ „თოფუზის“ მისია და მიზანია ხელი შეუწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლას, ახალი იდეების ძებნას, და აგრეთვე ქართული ანიმაციის ინტეგრაციას მსოფლიოს კინოს პროცესში. ეს არის ადგილი, სადაც მოხდება საათობით ფილმების ჩვენება, შეხვედრები, განხილვები. ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული დაუვიწყარი და სასიამოვნო საღამოები ხელს შეუწყობს ახალი მეგობრობისა და კონტაქტების ჩამოყალიბებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეები და სტუმრები ისიამოვნებენ სტუმართმოყვარე და მეგობრული ხალხის მიერ შექმნილი ატმოსფეროთი, – აცხადებენ ფესტივალის ორგანიზატორები.

# ზუგდიდში ქართული გალობისა და სიმღერის ფესტივალი ჩატარდა

ეკა ირემაშვილი

ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზოში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა ქართული გალობისა და სიმღერის პირველი ფესტივალი – „ვლაქერნობა“. ფესტივალში მონაწილეობდნენ ბათუმის ახალშენის ფერიცვალების ტაძრის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ჩხოროწყუს მგალობელთა გუნდები; ზუგდიდის ვაჟთა ანსამბლი „ოდოია“; წალენჯიხისა და მესტიის ქალთა ანსამბლები „მაფშალია“ და „ლაგუშედა“; მგალობელთა გუნდები თბილისიდან „იალონი“, „დიდგორი“ და „აღსავალი“. ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი და ანსამბლ „ოდოიასთან“ ერთად შეასრულა მეგრული სიმღერა.

ფესტივალი ჩატარდა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტის გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის „ოდიშის“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით.

როგორც სადებიუტო ფესტივალზე აღინიშნა, ქართული გალობისა და სიმღერის ფესტივალი „ვლაქერნობა“ ტრადიციული გახდება და ის ყოველწლიურად გაიმართება. ფესტივალის სახელწოდება „ვლაქერნობა“ დაკავშირებულია სახალხო დღესასწაულთან, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იმართება. ცნობილია, რომ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება ერთ-ერთი უძვირფასესი ქრისტიანული რელიქვია – პატიოსანი სამოსელი (კვართი) ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. გადმოცემის მიხედვით, ბიზანტიაში ლეონ დიდის, მაკედონელის ზეობისას მეფესთან დაახლოებული პირები, ძმები გალბიუსი და კანდიდი კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში გაემგზავრნენ წმინდა ადგილების მოსალოცად. სახლში სტუმრების ყურადღება ანთებულმა სანთლებმა და საკმევლის სურნელებამ მიიპყრო. კეთილმსახურმა ქალმა ძმებს გაუმხილა, რომ იგი იცავდა ძვირფას სიწმინდეს – ღვთისმშობლის სამოსელს, რომლისგანაც მრავალი სასწაული და კურნება აღესრულებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულმა მიძინების წინ ერთი თავისი შესამოსელი ამ ტომის კეთილმსახურ ებრაელ ქალწულს აჩუქა და სთხოვა, რომ სიკვდილის წინ, ის სხვისთვის, ქალწულისათვის გადაებარებინა. ასე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა სიწმიდე ამ ოჯახში. ძმებმა ძვირფასი კიდობანი წმიდა სამოსლით კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და საგვარეულო ტაძარში დააბრძანეს, რომელიც წმიდა მოციქულთა პეტრეს და მარკოზის სახელს ატარებდა. 469 წლის 2 ივლისს წმინდა გენადი კონსტანტინეპოლელმა ახალ კიდობანში ჩაბრძანებული სიწმიდე შესაფერისი პატივით გადაასვენა ვლაქერნაში, ზღვის სანაპიროზე, ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის კიდობანში ჩააბრძანეს მისი წმიდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი. დედა ღვთისას პატიოსანი სარტყელი, კვართი და ვლაქერნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სხვა სიწმიდეებთან ერთად ღვთის ნებით საქართველოში მოხვდა. ისტორიული წყაროები და ზეპირი გადმოცემები სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ ამ სიწმინდეების საქართველოში დავანების ისტორიას. მათ შორის არსებობს ერთი საინტერესო ვარაუდი – ავტორი აწ განსვენებული ცნობილი ფოლკლორისტი და მოღვაწე კალისტრატე სამუშიაა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა მკვლევარი. ამ ვარაუდის მიხედვით, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ვლაქერნის ტაძრის სიწმინდეები იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში მოხვდა. როცა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ჯვრის მონასტერი განაახლა, მან იქვე მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს შესთავაზა საქართველოში, სამეგრელოში ჩამოსვლა და კორცხელის მონასტრის წინამძღვრობა. კორცხელის მონასტერი ჯვრის მონასტრის მეტოქი გახდა. ნიკოლოზი სამეგრელოში ჩამოვიდა და 1632-1657 წლებში ხობის მონასტერში მოღვაწეობდა. შინა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# სამტრედიას ყაზახები მიხედავენ

კერძო მეპატრონე საფეხბურთო კლუბში ბევრს ნიშნავს. ქართული ფეხბურთის რეალობაში კი ასეთი ინვესტორები თითზე ჩამოსათვლელია და ამიტომაც არის, რომ ჩვენი ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატი სულს ღაფავს. ასეთ პირობებში კი გასაკვირი ის არის, რომ მეპატრონე გამოუჩნდა პირველი ლიგის კლუბ „სამტრედიას“. ეს ინფორმაცია ქალაქის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

სამტრედიის საფეხბურთო კლუბმა „სამტრედიამ“ პირველი ლიგისთვის მოსამზადებელი ვარჯიშები დაიწყო.

მას შემდეგ, რაც გუნდი ადგილობრივი დაფინანსების გარეშე დარჩა, ახალი ინვესტიცია მას ჰაერივით სჭირდებოდა.

გამოხმაურება კარგა ხანს არ ჩანდა, რომ არა ერთი კარგი, სამტრედიელი პიროვნება, ყოფილი ფეხბურთელი.

იგი საკრებულოს თავმჯდომარეს ემზარ შუბლაძეს დაუკავშირდა და ყაზახი ინვესტორის, მურატ სეიტოვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

**ემზარ შუბლაძე:**

– ინვესტორი თავად დააფინანსებს კლუბს. ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს შეუწყობს იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს მოედანს გამოიყენებს. მომავალში აპირებს, რომ იჯარით აიღოს ან იყიდოს ეს ფართი. ყველაფერი იდეალურად იქნებაო, ამის თქმა ძალიან რთულია, მაგრამ როდესაც ადამიანი ამხელა გზას გამოივლის და ამ თემაზე მოლაპარაკებებს გამართავს, ბუნებრივია ინტერესი დიდი აქვს. იმედია, რომ სამტრედიელები, აუცილებლად იზეიმებენ და საკუთარი თვალით ნახავენ დიდ ფეხბურთს.

გუნდს მწვრთნელთა შემადგენლობაც ახალი ჰყავს. 8-წლიანი გამოცდილების მქონე, თბილისელ, მთავარ მწვრთნელს უჩა სოსიაშვილს დადებითი მოლოდინები აქვს და ფიქრობს, რომ იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც „სამტრედიას“ გააჩნია, წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

**უჩა სოსიაშვილი:**

– ჩვენი მიზანი და სპონსორის პირველი დავალებაა, რომ წელს კარგი ახალგაზრდული გუნდი შევქმნათ, ვაჩვენოთ საუკეთესო შედეგი პირველ ლიგაში. მომავალ წელს კი, აუცილებლად, უნდა გადავიდეთ უმაღლეს ლიგაში. ეს ჩემთვის არ არის მხოლოდ დავალება. მონდომებული ვარ, რადგან სამტრედიელ მაყურებელს ძალიან უყვარს ფეხბურთი და ჩვენგან შედეგებს ელის.

თბილისის 35-ე სპორტული სკოლასთან, ქალთა ეროვნულ ნაკრებთან და „ავაზასთან“ ერთად სამტრედიის „სამტრედია“ ახალგაზრდა მწვრთნელის კარიერაში გამოცდილების კიდევ ერთი ეტაპია.

რაც შეეხება დამხმარე მწვრთნელებს, ესენი გახლავთ გიგა კუტივაძე, ლერი მეგენეიშვილი და მეკარეების მწვრთნელი, ირაკლი შენგელია.

გუნდის აღმასრულებელი დირექტორი პაატა მიქელაძეა. მწვრთნელებთან ერთად მისი კანდიდატურა სწორედ ახალმა ინვესტორმა შეარჩია.

ახალი შემართებით შეუდგნენ ვარჯიშს კლუბის წევრებიც.

– მოლოდინები კარგი გვაქვს. ინვესტორი და მწვრთნელები ითხოვენ მუშაობას და შედეგს. ჩვენი სურვილიც იგივეა, რომ მაქსიმალურს მივაღწიოთ. იმედია ასეც იქნება, – განაცხადა გუნდის კაპიტანმა სპარტაკ გოგიამ.

საწვრთნელი ვარჯიშების შემდეგ, საფეხბურთო სეზონი ოფიციალურად გაიხსნება, სადაც „სამტრედია“ პირველ ლიგაზე 16 ფეხბურთელით იასპარეზებს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**კონკაკაფის ოქროს თასი**

აშშ-სალვადორი ... 5:1
ჰონდურასი-კოსტა რიკა ... 1:0

**გერმანია. ტელეკომის თასი**

**ფინალი**

გლადბახი-ბაიერნი ... 1:5

**მე-3 ადგილისთვის**

დორტმუნდი-ჰამბურგი ... 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-არმინია ... 2:0
ფრანკფურტი-კარლსრუე ... 0:1
უნიონი-ბოხუმი ... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-სპარტაკი ... 0:2
როსტოვი-კრასნოდარი ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2.ამკარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3.დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4.ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5.როსტოვი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.ყუბანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8.ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 9.რუბინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.ვოლგა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 11.კრასნოდარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 12.ანჟი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 13.ტერეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14.ურალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 15.კრ.სოვეტოვი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.ტომი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ციურიხი ... 0:0
თუნი-სტ.გალენი ... 3:2
გრასჰოპერსი-ბაზელი ... 1:1

**ბელგია. სუპერთასი**

ანდერლეხტი-გენტი ... 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ტეპლიცე-სლოვაცკო ... 3:2
იაბლონეცი-ბრნო ... 0:0
სიგმა-ლიბერეცი ... 1:2
იიჰლავა-სპარტა ... 1:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-შლიონსკი ... 0:0
კრაკოვია-პიასტი ... 2:3
რუხი-ლეხი ... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სევასტოპოლი-შახტარი ... 1:3
ვოლინი-ტავრია ... 1:0
ჩერნომორეცი-ვორსკლა ... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-სონდერიისკე ... 1:1
ბრონდბიუ-ვესტშელანი ... 1:1
ოლბორგი-კოპენჰაგენი ... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-ნორჩიოპინგი ... 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-მარიეჰამნი ... 2:1
ტპს-იარო ... 2:2
ჰონკა-კუუპიო ... 1:0
ჯჯკ-ინტერი ... 2:0

**ბრაზილია. სერია ა**

ატლატიკო(პ)-კორინთიანსი ... 1:1
ვიტორია-ბაია ... 0:0
ინტერნასიონალი-ფლამენგო ... 1:0
სანტოსი-კურიტიბა ... 2:2
გოიასი-პორტუგეზა ... 2:1
ფლუმინენსე-ვასკუ ... 1:3

# მეტალურგი და ზესტაფონი თურქეთში ემზადებიან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა რუსთავის „მეტალურგმა“ პირველი საკონტროლო მატჩი „სამსუნსფორის“ წინააღმდეგ გამართა. შეხვედრა „სამსუნსფორის“ გამარჯვებით დასრულდა – 2:0.

რუსთაველი კლუბის პრესსამსახურის ცნობით, მატჩის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა თურქული გუნდის ერთ-ერთ შეტევას შორეული, ზუსტი დარტყმა მოჰყვა და 1:0.

გოლის გაშვების შემდეგ რუსთაველებს ორჯერ მიეცათ გათანაბრების შანსი. გელა სანაის შეგირდებს არ გაუმართლათ. მეორე ტაიმში თურქმა ფეხბურთელებმა მეორე გოლის გატანა მოახერხეს და საბოლოოდ 2:0 იმარჯვეს.

მეტალურგმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

ბედიაშვილი, სუხიაშვილი, მახვილაძე (მაისაშვილი 75), გავაშელიშვილი (კაკუბავა 46), ჯაფარიძე (ორბელაძე 46), რაზმაძე (ქავთარაძე 46), გურეშიძე, (დობროვოლსკი 60), გეწაძე (საჯაია 46), კირკიტაძე (ხაბელაშვილი 75), კორღალიძე (ვასაძე 75), ფიფია (სიხარულიძე 60).

ვერ ითამაშა რუსთაველთა ახალწვეულმა გიორგი ბერიაშვილმა. მას მცირე ტრავმა აწუხებს და გელა სანაიამ დასვენების საშუალება მისცა.

„მეტალურგი“ მეორე ამხანაგურ მატჩს დღეს, „ორდუსფორის“ წინააღმდეგ გამართავს.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ კი, თურქეთის უდიდეს ქალაქ სტამბულიდან 120 კილომეტრის მოშორებით მდებარე საკურორტო მთიან ქალაქ კარტეპეში ჩავიდა, სადაც გუნდი საქართველოს 25-ე ეროვნული ჩემპიონატისა და ეროვნული თასის გათამაშების მატჩებისათვის მოემზადება.

შეკრების პირველსავე დღეს ზესტაფონელებს გუნდის ალჟირელი ლეგიონერი მოჰამედ რეკრუკიც შეუერთდა. საინტერესოა ისიც, რომ იმერელთა გარდა, მოახლოვებული სეზონის სტარტისათვის კარტეპეში სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე გუნდი ემზადება.

იმერლებმა თურქულ შეკრებაზე პირველ ვარჯიშები გამართეს, დღეიდან კი, რატკო დოსტანიჩს გუნდი ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმზე გადაჰყავს.

# ფერნანდო ლიორენტე: „იუვენტუსი“ უდიდესი ტრადიციის მქონე გუნდია

ტურინის „იუვენტუსი“ მომავალი სეზონიდან ახალი სისხლით შეუტევს. „ბებერი ქალბატონის“ ფორმა უკვე ოფიციალურად მოირგეს კარლოს ტევესმა და ფერნანდო ლიორენტემ.



ტურინელ ფანებს განსაკუთრებით ბასკი ფორვარდი მოსწონთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კითხვაზე, რამდენ სკუდეტოს ფლობს „იუვენტუსიო“, ლიორენტემ თამამ მოიგო – 31. საქმე ის არის, რომ ტურინელებმა იტალიის ჩემპიონატი 31-ჯერ კი მოიგეს, მაგრამ ცნობილი „კალჩოპოლის“ გამო 2 ტიტული ჩამოართვეს და ოფიციალურად 29 სკუდეტო აქვს. ერთია, „იუვენტუსის“ ყველა გულშემატკივარი ოფიციალურ ვერსიას არად დაგიდევს და ლიორენტეს პასუხიც ამიტომ ესიამოვნათ.

ლიორენტესთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– როგორ მიგიღეს „იუვენტუსის“ გულშემატკივრებმა და ანტონიო კონტეს საწვრთნელ მეთოდებზე რას გვეტყვით?***

– ტურინის „იუვენტუსში“ ვარჯიშს დიდი ენთუზიაზმით შევუდექი. აქაურმა ფანებმა გულღიად და თბილად მიმიღეს. სიმართლე გითხრათ, ამგვარ დახვედრას არ ველოდი. სადაც კი ტურინელი ქომაგები მხვდებიან, მათგან მხარდაჭერას ვგრძნობ. კონტეს მეთოდებიც მომეწონა. მართალია, ბევრს ვშრომობ და საღამოობით ძალზედ დაღლილი ვარ, მაგრამ ასეთი ვარჯიში ყოველდღიურად გვაძლიერებს. მოკლედ რომ ვთქვა, „იუვეში“ ყოფნით ფრიად კმაყოფილი ვარ.

***– ბოლო საკონტროლო მატჩში 3 გოლი გაიტანეთ. მომავალ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა მიახლოებით გაქვთ განსაზღვრული?***

– ამგვარ რამეს წინასწარ არ ვგეგმავ. ბურთების გარკვეული რაოდენობის გატანა რომ დავისახო მიზნად, სეზონის განმავლობაში ერთთავად ამ რიცხვზე უნდა ვიფიქრო, ეს კი თამაშში ხელს შემიშლის. ყოველმხრივ ვცდილობ, სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე, დანარჩენი თამაშებში გამოჩნდება.

***– კარლოს ტევესს როგორ შეეწყვეთ?***

– მინდორზე ყველა ფორვარდთან კარგად ვურთიერთქმედებ. ტევესს რაც შეეხება, იგი ბრწყინვალე თავდამსხმელია და მისი პარტნიორობა ნებისმიერი მოთამაშისთვის ბედნიერებაა.

***– ესპანელ ფეხბურთელებს იტალიის ჩემპიონატში თამაში ტრადიციულად უჭირთ. რატომ გააკეთეთ არჩევანი სერია ა-ზე?***

– მხოლოდ იმიტომ, რომ ტურინის „იუვენტუსში“ თამაში მსურდა. „ბებერი ქალბატონი“ ბრწყინვალე გუნდია და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა „იუვე“ კიდევ უფრო ძლიერი გახდეს.

***– ანტონიო კონტესგან რა რჩევადარიგება მიიღეთ?***

– სინიორ ანტონიომ გუნდის შეტევითი მოდელის ათვისება მირჩია. მეც ამ მიმართულებით ვმუშაობ და საკუთარი თამაშის „იუვეს“ მანერასთან ვახამებ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ჩემთვის და გუნდისთვის სასიკეთოდ აეწყობა.

***– ტურინში ჩამოსვლისთანავე კარლოს ტევესმა განაცხადა, რომ მისი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. თქვენც ხომ არ დაგისახავთ ანალოგიური ამოცანა?***

– ჩემი და ტევესის მიზნებში თანხვედრაა – ზედიზედ მესამე სკუდეტო უნდა მოვიპოვოთ და სანუკვარი ოცნება, ჩემპიონთა ლიგის მოგება, ავიხდინოთ. საამისოდ არაფერს დავიშურებთ. დასახული ამოცანები არარეალური სულაც არაა. „იუვენტუსი“ უდიდესი ტრადიციის მქონე უაღრესად ძლიერი გუნდია.

***– ესპანელ ფეხბურთელთაგან იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში თავი მხოლოდ ლუისიტო სუარესმა გამოიჩინა. მოახერხებთ დამკვიდრებული სტერეოტიპის დარღვევას?***

– თუკი ბევრს და მიზანმიმართულად ვიშრომებ, საკუთარ თავს იტალიაშიც სრულად წარმოვაჩენ. ახალ პარტნიორებს, მწვრთნელებს და გულშემატკივრებს იმედს გავუმართლებ. მჯერა, იტალიურ ფეხბურთში ბევრს მივაღწევ.

***– საკმაოდ მოკლე ხანში ტურინელი ქომაგების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ. ამას მნიშვნელოვან მომენტად თვლით?***

– კლუბის ფანების მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ ვიტყვი – ტურინელმა ფანებმა გულღიად და თბილად მიმიღეს.




***–გასულ სეზონთან შედარებით განსხვავებული გრძნობა გეუფლებათ?***

– წინა წელიწადი ჩემთვის საკმაოდ მძიმე იყო, ამჟამად კი ყველა სირთულე უკან მოვიტოვე და ჩემი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ „იუვენტუს სთედიუმზე“ წარმატებულ გამოსვლას უკავშირდება.

***– კარლოს ტევესის გარდა სხვა პარტნიორებს როგორ შეეწყვეთ? ალბათ, იმათთან ურთიერთობა უფრო გიადვილდებათ, რომლებსაც ესპანურად ესაუბრებით?***

– „იუვენტუსის“ ნებისმიერ წევრთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება უკვე მოვასწარი. ვფიქრობ, გუნდს სათანადოდ შევეწყვე.

***– შეკრების დროს ოთახში ვისთან ერთად ცხოვრობთ?***

– სტეფან ლიხშტაინერთან და მასთან დამეგობრება უკვე მოვასწარი.

***– ტიტო ვილანოვას ამბავს შეიტყობდით.***

– ვილანოვასა და მისი ოჯახისთვის ახლა ურთულესი პერიოდია. ტიტოს სულიერ სიმტკიცეს და გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.

***– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

– ჯერჯერობით თავისუფალი დროის მწვავე ნაკლებობას განვიცდი. წინასასეზონო მზადებას დროის და ენერგიის უდიდესი ნაწილი მიაქვს. სამწუხაროდ, გაზეთების წასაკითხადაც ვერ ვიცლი, მაგრამ ვიცი კლუბები ძლიერდებიან და წინ მეტად საინტერესო სერია ა გველის.

***– ბოლოს გკითხავთ, ტურინის „იუვენტუსსა“ და ბილბაოს „ატლეტიკს“ შორის რა პრინციპულ სხვაობას ხედავთ?***

– სხვაობა მართლაც დიდია. „იუვენტუსი“ „ბარსელონასა“ და „რეალთან“ ერთ მწკრივში უნდა მოვიხსენიოთ. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გადმოსვლა ჩემი კარიერის წინგადადგმული ნაბიჯია.

# სლოვენიის ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება არასრული შემადგენლობით დაიწყო

ევრობასკეტის მასპინძელი ქვეყნის ნაკრებმა მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. რიგი მიზეზების გამო სლოვენიის ნაკრებმა რამდენიმე მსოფლიო დონის მოთამაშე მოისაკლისა, რომელთაგან საკმარისია ბენო უდრიჰისა და ერაზმ ლორბეკის დასახელება. მიუხედავად ამისა, გუნდში საკმაოდ ძლიერმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება საკუთარ სამშობლოში – დაბა როგასკა სლატინაში დაიწყეს.

სლოვენიელთა მთავარმა მწვრთნელმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა შეკრებაზე 16 კალათბურთელი იხმო, თუმცა პირველ დღეს ვარჯიშზე 13 მათგანი გამოცხადდა. მირზა ბეგიჩი, ბოსტიან ნახბარი და ნებოისა იოკსიმოვიჩი მწვრთნელთან შეთანხმებით ნაკრებს უახლოეს დღეებში შეუერთდებიან.

სლოვენიელთა ვარსკვლავი, „ფინიქს სანსის“ გამთამაშებელი გორან დრაგიჩი შეკრების დაწყებით კმაყოფილია და აცხადებს:

– ყოველ წელს, როცა ნაკრებში ვიკრიბებით შესანიშნავი განცდა მეუფლება. მთელი სეზონი ამერიკაში ვარ და იქ ეროვნული ნაკრების თანაგუნდელთა ნახვის შესაძლებლობა არ მაქვს. ნაკრებში ბევრად განსხვავებული სიტუაციაა, ვიდრე კლუბში, სადაც ყველა მოთამაშე ჩაკეტილია თავის ოთახში. ეროვნულ გუნდში კი ყველაფერი გახსნილია. ერთად ვჭამთ, ერთად ვვარჯიშობთ, სულ ერთად ვართ.

როგასკა სლატინის შემდეგ სლოვენიის ნაკრები მზადებას დედაქალაქ ლიუბლიანაში განაგრძობს და გამართავს მოსამზადებელ მატჩებს ზრიცში, გრასნა გორასა და ცელიეში. მთლიანობაში სლოვენიელები 12 საკონტროლო მატჩს გამართავენ, რომელთაგან 10-ს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაატარებენ. პირველი ტესტ-მატჩი 26 ივლისს, უკრაინის წინააღმდეგ არის დანიშნული.

ბოჟიდარ მალკოვიჩი იმ თავისებურებაზე ლაპარაკობს, რაც ბოლო დროს სლოვენიაში და ზოგადად, კალათბურთში დამკვიდრდა:

– ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც მოიცავდა შეკრებებს მთაში, ისტორიას ჩაბარდა. სლოვენიაში მრავლადაა ლამაზი და სასარგებლო კურორტები, სადაც ჰაერი სუფთა ჟანგბადითაა გაჟღენთილი, თუმცა იმის დრო, რომ სავარჯიშოდ ღია ცის ქვეშ გავიდეთ, არ არის. შეკრების პერიოდს ჩვენ გამოვიყენებთ დაცვითი და შეტევითი კომბინაციების დასამუშავებლად. ვიმუშავებთ ტაქტიკაზე. ჩვენს ნაკრებს არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი აკლია, რაც მაფიქრებინებს, რომ ესაა შანსი სლოვენიის ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის. ევრობასკეტზე სლოვენია განსაკუთრებული ჟინით და შემართებით ითამაშებს. ეს ის თვისებებია, რომლებსაც სლოვენიის ნაკრებს ვერავინ წაართმევს.

სლოვენია საქართველოსთან, პოლონეთთან, ხორვატიასთან, ესპანეთთან და ჩეხეთთან ერთად ევრობასკეტის ც ჯგუფში მოხვდა. 6 გუნდიდან მომდევნო ეტაპზე 3 საუკეთესო გავა.

სლოვენიის ნაკრების გაფართოვებული, 16-კაციანი შემადგენლობა:

გორან დრაგიჩი, იაკა ლაკოვიჩი, იაკა ბლაჟიჩი, ზორან დრაგიჩი, კლემენ პრეპელიჩი, ედო მურიჩი, ბოსტიან ნახბარი, დომენ ლორბეკი, ლუკა ლაპორნიკი, იურე ბალაჟიჩი, იაკა ბროდნიკი, გეზიმ მორინა, მირზა ბეგიჩი, უროშ სლოკარი, გასპერ ვიდმარი, ნებოისა იოკსიმოვიჩი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# გურამ ოდიშარიამ საქართველოს რეგიონები მოიარა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამუშაო ვიზიტით საქართველოს რეგიონები მოიარა. მინისტრი პირველ მოადგილესთან მარინე მიზანდართან ერთად სენაკს ესტუმრა.

დელეგაციამ პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი დაათვალიერა და სენაკის მუნიციპალიტეტის ცენტრიც მოინახულა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა აკაკი ხორავას სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის დათვალიერებაც. ვიზიტის დასასრულს, გურამ ოდიშარიამ და მარინე მიზანდარმა სენაკის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოინახულეს, სადაც კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

კულტურის მინისტრი მარინე მიზანდართან ერთად ვანშიც ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია გალაკტიონ და ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი, ასევე ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული სამუზეუმო ექსპონატები მოინახულა. დელეგაციამ ვანის კულტურის ცენტრიც დაათვალიერა. ვიზიტის დასასრულს კი ვანის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში დელეგაცია კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე, მარინე მიზანდარი ბაღდათს ესტუმრნენ. დელეგაციამ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი მოინახულა და დაესწრო პოეზიის ზეიმს, სახელწოდებით „ვალში ვარ თქვენთან, მოწმენდილო ბაღდათის ზეცავ“, რომელიც VI საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის „მთელი ხმით“ ფარგლებში გაიმართა. ვიზიტის დროს დაიგეგმა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლირიკული კრებულის „სამარადისოდ დაჭრილი სიყვარულისგან“ პრეზენტაციაც.

კულტურის სამინისტროს დელეგაცია ასევე ეწვია რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრს, სადაც გაიმართა დოკუმენტური ფილმის „პოეტის ქალიშვილი“ და ვლადიმერ მაიაკოვსკის მონაწილეობით 1918 წელს გადაღებული მხატვრული ფილმის „ქალიშვილი და ხულიგანი“ ჩვენება. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა ქუთაისში ბაგრატის ტაძრის მონახულება და მაიკოვსკის ძეგლის ყვავილებით შემკობა.

მინისტრი მოადგილესთან ერთად, ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის „შარვლიანი ღრუბლის“ პრემიერასაც დაესწრო.

გურამ ოდიშარიამ და მარინე მიზანდარმა შეხვედრები მოაწყვეს ბათუმშიც. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია დაესწრო კონცერტს „ჯაზური ტრანსფორმაციები“ ანდრეი მაკარევიჩის მონაწილეობით, რომელიც ბათუმის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა. ღონისძიებები VI საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის „მთელი ხმით“ ფარგლებში ჩატარდა.

კულტურის მინისტრმა ქართველებისთვის საკმაოდ აქტუალურ თემასთან – ტაო კლარჯეთში არსებულ ქართულ ძეგლებთან და მათ ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით სატელეფონო საუბარი გამართა თურქეთის მინისტრთან. ცნობილია, რომ იშხანზე უკვე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ოშკზე კი მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმებულია. სპეციალისტები თვლიან, რომ ოშკი ამ ზამთარს ვეღარ გადაიტანს.

ორიოდე დღის წინ სატელეფონო საუბარი შედგა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიასა და თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს ომერ ჩელიკს შორის. საუბარი შეეხო ქართველი სპეციალისტების რიგით მესამე სამუშაო ვიზიტს იშხანში, რომელიც მიზნად ისახავს იშხანის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დაკვირვებას და მათთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე ოშკის სამონასტრო კომპლექსის მონახულებას. ქართული მხარის სამუშაო ვიზიტით გამგზავრება იშხანში შედეგია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში გაწეული ძალისხმევის.

თურქეთის რესპუბლიკის კულტრისა და ტურიზმის მინისტრმა დაადასტურა, რომ 18 ივლისს, ქართველი სპეციალისტების 7 კაციანი ჯგუფი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის ხელმძღვანელობით, ჩავიდა იშხანში და დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოებზე დაკვირვება. თურქეთის მხარემ კიდევ ერთხელ გამოხატა კეთილი ნება ქართველი ექსპერტების ჩართვისა იშხნის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, გულითადი მადლობა გადაუხადა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს თანამშრომლობისათვის და ხაზი გაუსვა, რომ ქართველი სპეციალისტებისათვის იშხანის სარესტავრაციო სამუშაოების დაკვირვების მიზნით ვიზიტის ორგანიზება მეტად მნიშვნელოვანია ქართული მხარისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეთანხმების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალური კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რესტავრაციის შესახებ“ კვლავ რჩება ხელმოუწერელი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და იშხანში ქართველი სპეციალისტების ჩართვა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება მთლიანად ეფუძნება თურქეთის მხარის კეთილ ნებასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გაწეულ წარმატებულ მოლაპარაკებებს თურქეთის მხარესთან.

სატელეფონო საუბრის ბოლოს მინისტრებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას, მზადყოფნა გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობაზე.

# ვარსკვლავებს ექიმებიც იმსახურებენ

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სხვასთანაც მიიყვანეს, სხვამაც უარი თქვა ოპერაციაზე.

***– თქვენ რატომ გარისკეთ?***

– რატომ გავრისკე კი არა, ასე ვუთხარი, რომ ყოველი წუთი ამის გადარჩენის ვარიანტია-მეთქი, თორემ გარანტია არც მე მიმიცია. მენდნენ, რადგან უფრო ავტორიტეტით ვსარგებლობდი იმ ქალაქში, ვიდრე კერძო ქირურგები. ინგლისელებმა მითხრეს, იქნებ გადავაფრინოთ სამშობლოშიო, დაიღუპება-მეთქი. დამთანხმდნენ. მოვამზადე საოპერაციოდ და გადარჩა. დიდი ოპერაცია ჩავატარე, გამიმართლა და გადარჩა ის ბავშვი. იმ ოჯახში, ნებისმიერ ქართველს მიიღებენ, ქურდი და ბანდიტიც რომ იყოს.

***– სამომავლოდ ვის გაუხსნით ვარსკვლავს, ბატონო ჯუმბერ?***

– ლაური მანაგაძეს და ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექტორს, ცაგარეიშვილს. წელიწადში ორჯერ მოხდება ვარსკვლავის გახსნა. გოგი ჩახუნაშვილი ამომიდგა გვერდში ამ იდეის განსახორციელებლად. ჯანდაცვის სამინისტრო, პარლამენტი თუ მერია ამ იდეასთან დაკავშირებით საქმის კურსშია. დახმარებას ყველა გვპირდება, მაგრამ რეალურად ჯერ არავინ დაგვხმარებია.

# ზუგდიდში ქართული გალობისა და სიმღერის ფესტივალი ჩატარდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გარეშე ომებისაგან დაქსაქსული და ძალ-ღონეგამოცლილი საქართველო ვეღარ პატრონობდა ჯვრის მონასტერს, ამიტომ სრულიად დამაჯერებელია, რომ ნიკოლოზს ჯვრის მონასტერში დაცული სიწმინდეები საქართველოში მოებრძანებინა. სამეგრელოში დავანებულ სიწმინდეებზე ცნობებს გვაწვდიან რუსი ელჩები – ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი. არქანჯელო ლამბერტი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, პავლე ალეპოელი, ჯუზეპე მარია ძამპი, ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლჩანოვი, დონ კრისტეფორე დე კასტელი

პატიოსანი სამოსელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, სარტყლის ნაწილი და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სამეგრელოს უპირველეს სიწმინდებად ითვლებოდა.

გრიგოლ დადიანმა ხატის შენახვა მიანდო სიმამრს, საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს. მისი გარდაცვალების შემდეგ ხატი მიისაკუთრა მისმა ძემ, დავით ბატონიშვილმა და რუსეთში წააბრძანა. ხატის დასაბრუნებლად მთავრის ქვრივმა, ნინო ბაგრატიონმა, ხატი იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა, რათა შემდგომ ეთხოვა კვლავ სამეგრელოში დაბრუნება. იმპერატორმა ხატი ძვირფასი თვლებით შეამკობინა, ახალი პერანგით შემოსა, კვართისა და სარტყლისათვის საგანგებო მოწერილობით, რომლის თანახმადაც სამთავროში უნდა აეშენებინათ ეკლესია ვლაქერნის ხატის სახელობისა და იქვე დაეარსებინათ ქალაქი გრიგოლიოპოლისის სახელით, განსვენებული მთავრის, გრიგოლის მოსაგონებლად. ტაძრის აშენება თავს იდო გრიგოლ დადიანის მემკვიდრემ მთავარმა ლევან V დადიანმა, რომლის მშენებლობა დამთავრდა 1830 წელს, მარტვილის ეკლესიაში დაბრძანებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ზუგდიდში გადმოაბრძანეს. ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ზუგდიდის ტაძარში კი მთავრის კარის ეკლესია გახდა.

1990 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარში მსახურება განახლდა.

ყოველი წლის 15 ივლისს, (ძველი სტილით 2 ივლისს), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის შემოსვის მსოფლიო დღეს, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში ტარდება წირვა-ლოცვა, ხდება კვართის გადმობრძანება დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმიდან. დღესასწაულზე კვართზე სამთხვევად ჩამოდის მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური მრევლი.

ფოლკლორის ცენტრის მიერ ზუგდიდში შედგა ახალი პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობამ უმასპინძლა. „რეკომენდაციები რეგიონების კულტურის სამსახურებს“ – ასე ეწოდება პრეზენტაციას, რომელსაც ესწრებოდნენ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ფოლკლორის ცენტრებისა და კულტურის სამსახურის წარმომადგენლები. რეკომენდაციები წარადგინეს საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა და რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორმა ოთარ კაპანაძემ.

ფოლკლორის ცენტრის ახალი პროექტის პრეზენტაცია ქუთაისში, ქობულეთსა და ბათუმშიც გაიმართა. წარდგინება გაიმართა ქუთაისის ფოლკლორის ცენტრში – ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, ვანის, საჩხერის, ხარაგაულის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ბაღდათის ხონის, ქუთაისის, ცაგერის, ამბროლაურის, ლენტეხის კულტურის სამსახურის წარმომადგენელთათვის; ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში – ქობულეთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის კულტურის სამსახურის წარმომადგენელთათვის; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში – ქედის, ხულოს, ხელვაჩაურის, შუახევისა და ბათუმის კულტურის სამსახურის წარმომადგენელთათვის.

ზემოაღნიშნული რეგიონების კულტურის სამსახურის წარმომადგენლებს ფოლკლორის ცენტრის ახალი პროექტი გააცნეს და რეკომენდაციების მნიშვნელობაზე დაწვრილებით ისაუბრეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა და რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორმა ოთარ კაპანაძემ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში უახლოეს მომავალში გაიმართება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში თვითნასწავლი მხატვრის ირინე გველესიანის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოიფინა მხატვრის 180-მდე ნამუშევარი, მათ შორის, დეკორატიული გრაფიკა, ფერწერა, ორიგინალური ჟანრი და თოჯინები. გამოფენა გახსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილემ სოფიო ლობჟანიძემ. ირინე გველესიანის შემოქმედებაზე ისაუბრეს ფოლკლორის ცენტრის სახვითი და გამოყენებითი მიმართულების ხელმძღვანელმა ცისანა მარინდაშვილმა, ხელოვნებათმოცდნე ზევახ კვასხვაძემ, ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა. გამომსვლელებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს მხატვრის გამორჩეულ დეკორატიულ გრაფიკას. დასასრულს, ირინე გველესიანმა მადლობა გადაუხადა სტუმრებსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს.

ფოლკლორის ცენტრის ხალხური შემოქმედების ბაღში 90-იანი წლების ცნობილი ტელეწამყვანის პოეტ ლალი ხვედელიანის პოეზიის საღამო შედგა. ლია ლიქოკელმა კი თავისი პირველი პოეტური კრებულის პრეზენტაციისთვის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფოლკლორის ბაღი შეარჩია. რეჟისორმა და პოეტმა შეკრებილ საზოგადოებას „დევის ცოლის სიცილი“ წარუდგინა.

ცენტრის ხალხური შემოქმედების ბაღში ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა ფოტოგამოფენა „ქალაქის ძველი აივნები“ მოაწყო, სადაც გამოიფინა თბილისის, სიღნაღის, თელავის, სოფლების – ჭვიშის, ადიშისა და განახლების-ძველი და ახალი აივნების ფოტოები. გამოფენა გახსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა. ექსპოზიციაზე დამთვალიერებლებისათვის ფოლკლორის ეროვნული სკოლის მოსწავლეებმა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა შეასრულეს. გოგა ჩანადირმა ექსპონატები საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს საჩუქრად გადასცა.

როგორც გამოფენაზე ფოტოხელოვანმა განაცხადა:

– აივანი – შენობის ფასადის სიბრტყიდან გამოწეული და შიდა სადგომებთან დაკავშირებული, ჩუქურთმებით შემკული, მოაჯირით შემოსაზღვრული ბაქანი (ბალკონი) – ქართული საცხოვრებელი სახლის ტრადიციული ელემენტია. აივანი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე საბინაო და საზოგადოებრივ შენობათა არქიტექტურაში. მე-19 საუკუნეში თბილისში შეიქმნა ორიგინალური ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომელშიც აივანი და მისი ჩუქურთმები თავისებურად ეხამება კლასიკურ ხუროთმოძღვრულ ფორმებს, ამკობს შენობის ფასადს და ორგანულად ერწყმის ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს. მოგზაურები თბილისს „მრავალაივნიან ქალაქს“ უწოდებდნენ.

საგამოფენო ექსპონატებს გოგა ჩანადირი თბილისსა და საქართველოს ქალაქებში სამი წლის განმავლობაში იღებდა.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4 უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. საგანგებოდ გამართული ნადიმი; 12. მონასტერი რაჭაში; 14. ნათურების დასამზადებლად გამოყენებული ძნელად დნობადი ლითონი 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. შორეულ აღმოსავლეთსა და ჩინეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარე; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 5. ლერწმისგან დამზადებული ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 6. საეკლესიო წესით დაქორწინება; 9. ბრაზულიური არაყი; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 18. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23 მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 3. ივრითი; 8. კითარა; 9. ლანა; 14. ავარა; 15. კანონი; 17. რაზა; 20. ნავახა; 22. ლარდი; 23. მაკეტი; 25. რქა; 26. ოსტი; 27. ამია; 28. ნამსახური.

**შვეულად:** 1. ბალი; 2. ირი; 3. ინდიკანი; 4. თუ; 5. ვილანელა; 6. პანი; 7. კასკეტი; 10. ნავი; 11. უდელვაისი; 12. კარაკასი; 13. ვაზა; 16. კოიოტი; 18. პრიმატი; 19. ემისია; 21. ხალხი; 24. ტანკი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბალასტი; 2. პიცა; 3. ჩარლი; 4. აჩპა; 5. არბო; 6. კომეტა; 7. ჩალა; 8. ბატი; 9. ენა; 10. აპრილი; 11. რკო; 12. სიძი; 13. ტატრა; 14. „ფაუსტი“; 15. ალეკ; 16. სიმონსი; 17. „ტრემბიტა“; 18. მისის; 19. კამილე; 20. კიტა; 21. აკიტა; 22. უბე; 23. ირი; 24. კარატი; 25. ამონიაკი; 26. მიკადო; 27. მარტი; 28. მარსი; 29. სი; 30. ატრია; 31. „ნანა“; 32. დეპო; 33. პა; 34. არისა; 35. ანანკე; 36. ლორნეტი.

**სურათებზე:** ალანის მორისეტი; მარკ ოვერმარსი.

# აზერბაიჯანი ოქტომბრიდან გაეროს უშიშროების საბჭოს უხელმძღვანელებს

2013 წლის ოქტომბრიდან აზერბაიჯანი გაეროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი მეორედ გახდება. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესამსახურის უფროსის ელმან აბდულაევის თქმით, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის დროს დიდი ყურადღება ჰუმანიტარულ საკითხებს მიექცევა.



პირველად აზერბაიჯანი უშუშროების საბჭოში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 2011 წლის ოქტომბერში აირჩიეს. 2012 წლის 1 იანვრიდან იგი საბჭოს არამუდმივი წევრი გახდა. აზერბაიჯანი საბჭოს 1 მაისიდან ხელმძღვანელობდა. აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის პერიოდში სამი რეზოლუცია იქნა მიღებული – ორი სუდანში არსებულ ვითრებაზე და ერთი გვინეა-ბისაუს გადატრიალების შესახებ. ინფორმაციას აღნიშნულის აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

უშიშროების საბჭო გაეროს მუდმივმოქმედი ორგანო. გაეროს წესდების შესაბამისად, უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი უფლებამოსილია იმოქმედოს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი. უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობას, მშვიდობის დარღვევას, აგრესიის აქტს, იღებს რეკომენდაციებს და წყვეტს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ან მისი აღდგენისათვის.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საერთაშორისო კანონის ძალა აქვს და საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სახიფათო სახელმწიფოების დამორჩილებისათვის ძალადობის გამოყენების უფლებასაც იძლევა.

უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), დანარჩენი 10 კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი თანხმობით (გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე წევრი) და იგი სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისათვის.

# სამგლოვიარო განცხადებები

მერაბ დგებუაძე, რევაზ გერგედავა, დემურ კეკელია თანაგრძნობას უცხადებენ თავიანთ მეგობარს, თენგიზ ქარჩავას დედის

**ქალბატონი ლუბას**

გარდაცვალების გამო.

ომარ ჩიკვაიძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მძახლის

**მამუკა (საული) გორგოძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით უთანაგრძნობს უნივერსიტეტის ექიმს ნუგზარ შეყილაძეს ძმის

**თეიმურაზ შეყილაძის**

გარდაცვალების გამო.

ასოციაცია „მესხეთი 2001“-ის დარბაზის შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ასოციაციის გამგეობის წევრის უჩა ბლუაშვილის ქალიშვილის

**ელენეს**

გარდაცვალების გამო.

## ცეზარ შურღაიას ხსოვნას



უეცრად შეწყდა დიდი გულის ფეთქვა.

ცხოვრების მოკლე გზა განვლო ჩვენმა უმცროსმა მეგობარმა, ცეზარ შურღაიამ, მაგრამ სწორედ ისე განვლო ეს გზა, რომ ამ ქვეყნად ნამდვილი კაცის, პატიოსანი კაცის, ერთგული მეგობრის სახელი დაიმკვიდრა. იყო წარმატებული, ოცნებებით სავსე, ბავშვივით მიამიტი, მოკრძალებული.

დიდი დანაკლისია ცეზარი სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურისათვის.

თავისი პროფესიონალიზმით, საქმისადმი სწორი მიდგომით, ჩვეული ოპტიმიზმით, გამჭრიახობით არაერთი რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამოუძებნია გამოსავალი, როგორც დირექტორს საფინასო-ეკონომიკურ დარგში.

უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვე ცეზარ! შენი სული დაგვყურებს და ალბათ ბედნიერი ხარ იმით, რომ თურმე ასე ყვარებიხარ ყველას და ამდენი ცრემლი მოგვყვება.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა და მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

*სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური.*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ევროკავშირი „ჰეზბოლას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებაზე იმსჯელებს

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები დაჯგუფება „ჰეზბოლას“ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანის საკითხზე იმსჯელებენ.



„ჰეზბოლას“ ბოევიკების ტერორისტებად აღიარების მომხრეები აცხადებენ, რომ გასულ წელს ბულგარეთში ისრაელის ტურისტების ავტობუსის აფეთქების უკან სწორედ ეს დაჯგუფება დგას. აფეთქების შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა.

თავად „ჰეზბოლა“აღნიშნულ აფეთქებასთან კავშირს უარყოფს.

იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები მხარს დაუჭერენ „ჰეზბოლას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებს, მაშინ დაჯგუფება ვერ შეძლებს ევროკავშირში კანონერი ფაიანსური ოპერაციების განხორციელებას. ევროპელ დიპლომატებს კი აეკრძალებათ რაიმე სახის კონტაქტები „ჰეზბოლას“ წარმოამადგენლებთან.

ჰეზბოლაჰ (არაბ. უფლის პარტია ან უფლის დაჯგუფება) ასევე ცნობილი როგორც ჰეზბოლაჰი, ჰესბოლა, ჰისბოლა, – შიიტთა დაჯგუფება, პოლიტიკურ და შეიარაღებულ ფრთას აერთიანებს. ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, შიიტებით დასახლებული ბიქაას მუჰაფაზაში, ისრაელის ლიბანში შეჭრის საპასუხოდ. მიჩნეულია ტერორისტულ ორგანიზაციად ისრაელისა და მისი მოკავშირის, აშშ-ს, ასევე კანადის მიერ. მხოლოდ შეიარაღებული ფრთა ტერორისტულ დაჯგუფებად მიჩნეულია გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ეგვიპტეში.

# ჩინეთში ძლიერ მიწისძვრას 47 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში მომხდარ 6,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას 47 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.



ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით 07:45 საათზე, განსუს პროვინციაში დაფიქსირდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგებმა პროვინციაში არსებული დასახლებული პუნქტების უმრავლესობა დააზიანა. კომუნიკაციის გარეშე 13 ქალაქი დარჩა.

სტიქიური უბედურების შემდეგების ლიკვიდაციაზე ჯარი, პოლიცია, ასევე მოხალისეები მუშაობენ.

პეკინში მყოფი „ბი-ბი-სის“ კორესონდენტის ცნობით, მომხდარის ადგილზე მაშველები და მეხანძრეები მივიდნენ. ჩინური სააგენტოების ცნობით, მიწისძვრა მეწყერის მიზეზი გახდა. დაზარალებულებს სამხედრო პოლიციაც ეხმარება.

ჩინეთში ბოლოს ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრა 2008 წელს მოხდა, როდესაც სტიქიის შედეგად სიჩუანის პროვინციაში 90 000 ადამიანი დაიღუპა. მილიონობით ადამიანი კი თავშესაფრის გარეშე დარჩა.

ახალ ზელანდიაში კი ძლიერ მიწისძვრას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამერიკის გეოლოგიური სამსახურის ცნობით, ამ ქვეყანაში 6,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი დედაქალაქიდან 57 კმ-ში მდებარეობდა.

„სი-ენ-ენის“ ცნობით, მიწისძვრას მსვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ველინგტონის მერმა მოსახლეობს სიფრთხილისკენ მოუწოდა.

სპეციალისტები ამ დროისათვის გზებს, ხიდებსა და გვირაბებს ამოწმებენ, რომლებიც შესაძლოა, მიწისძვრის შედეგად დაზიანდა.

# სირიის სამთავრობო ჯარს 13-სულიანი ოჯახის ამოხოცვა ბრალდება

სირიის ოპოზიციის აქტივისტების რწმუნებით, სამთავრობო ძალებმა ერთი ოჯახის 13 წევრი მოკლეს, უმეტესად ქალები და ბავშვები.



„ბი-ბი-სის“ ცნობით, შემთხვევა ბადიაში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი მათგანი ცოცხლად დაწვეს.

ქალაქ დამასკოში კი ტელეკომპანია „რაშა თუდეის“ ჟურნალისტი დაიჭრა. ამის შესახებ ტელეკომპანიის „თვითერის“ გვერდზეა ნათქვამი.

„სირიაში „ერტეს“ კორესპონდენტი იბრაჰიმ ისა, დამასკოს გარეუბანში საბრძოლო მოქმედებების დროს, ჭურვის ნამსხვრევით დაიჭრა“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების თანახმად, ბრძოლის ადგილას კორესპონდენტი სიუჟეტს ამზადებდა.

ცოტა ხნის წინ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა განაცხადა, რომ ამბოხებულების ნაწილი მხარდაჭერას იმსახურებს.

პრემიერის თქმით, მართალია ბოლო პერიოდში პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი „მოძლიერდა“, თუმცა იგი მაინც გამოუვალ მდგომრეობაში იმყოფება. პრემიერის თქმით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მუშაობა გამოსავლის საძიებლად. კამერონმა აღნიშნა, რომ ოპოზიციას შორის „ძალიან ბევრი ექსტრემისტია, თუმცა ზომიერი ჯგუფები კვლავ იმსახურებენ მხარდაჭერას“.

გაეროს მონაცემებით, სირიაში 2011 წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს 90 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. 1,8 მილიონი კი იძულებული გახდა მეზობელი ქვეყნებისათვის შეეფარებინა თავი.

# იაპონიის არჩევნებში მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა

გუშინ იაპონიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, სადაც გამარჯვება პრემიერ სინძო აბეს პარტიამ მოიპოვა. ამ არჩევნებზე ქვეყნის პარლამენტის ზედა პალატას ირჩევდნენ.

არჩევნების პროცესში ჩატარებული გამოკითხვები მოწმობდა, რომ იმარჯვებდა ლიბერალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც პრემიერ-მინისტრის სინძო აბე უდგას სათავეში. ეს ნიშნავს რომ მმართველი პარტია პარლამენტის ორივე პალატაზე ინარჩუნებს კონტროლს, რაც უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში პირველად ხდება.

როგორც აღნიშნავენ, არჩევნებზე დასწრება იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე 2010 წლის არჩევნების დროს.

58 წლის პრემიერი ამომრჩეველს შორის დიდ მხარდაჭერას მისი ეკონომიკური რეფორმის გამო იმსახურებს, რაც იაპონიის ეკონომიკის ზრდის ტემპების გაზრდას გულისხმობს. ამჟამინდელი კოალიციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 4%-ით გაიზარდა, საფონდო ბაზრები კი-40%-ით.

იაპონიის პარლამენტი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა 1889 წლიდან; ორივე პალატაში წარმომადგენლები საყოველთაო არჩევნებით ირჩევა. წარმომადგენელთა (ქვედა) პალატა შედგება 480 დეპუტატისგან და აირჩევა 4 წლის ვადით. ასაკობრივი ცენზია 25 წელი. 180 დეპუტატის შერჩევა პარტიული სიებით ხდება. მრჩეველთა (ზედა) პალატა შედგება 252 დეპუტატისგან და აირჩევა 6 წლის ვადით. ასაკობრივი ცენზი ზედა პალატაში 30 წელია. 98 დეპუტატს მმართველი პარტიიდან, პრემიერ-მინისტრის სიით ირჩევენ.

# ისრაელი-პალესტინის მოლაპარაკება განახლდება

ისრაელმა და პალესტინის ავტონომიამ მშვიდობიანი მოლაპარაკების განახლების შესახებ, რომელიც 2010 წელს შეწყდა, წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს. აღნიშნულის შესახებ პირველად ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გამოაცხადა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს სტუმრობდა. კერი ამ პროცესის შუამავალია.

სავარაუდოდ, ამ დღეებში ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლები შეხვედრებს ვაშინგტონში გამართავენ. კერის თქმით, შეხვედრებს ამერიკის მხარეც დაესწრება. „როიტერის“ ცნობით, ისრაელის ხელისუფლების წარმომდგენლები აღნიშნავენ, რომ პალესტინასთან მოლაპარაკებებს თვეები დასჭირდება. მათი თქმით, ჯერ უცნობია, როდის გაიგზავნებიან ისრაელის წარმომადგენლები ვაშნგტონში. როგორც ისრაელის ოფიციალური პირები აცხადებენ, მოლაპარაკების დაწყებამდე პრემიერ ბენიამინ ნეთანიაჰუ მის კაბინეტს უნდა დაეკითხოს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 23 ივლისი**

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "ჩვენი ეზო" **18.00** დ/ფ "ადამიანი პლანეტა" **19.05** ტ/სერ "**მაგდა ემი**" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** ტ/სერ "**ნიკატა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "**გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი**" **01.20** "დღეს ორის ნახევარზე"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნაწ. **14.00** დ/სერ. "მეცნიერება ფილმებში" **13** ნაწ. **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" მე-**2** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "ომარ მხეიძე" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** იურმალა **2013** **00.45** მხ/ფ. "**აუხდენელი ოცნებები**" (ვ.კასელი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** გაცინე და მოიგე. **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** სპექტაკლი - "**ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.10** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ეთნოგრაფია **15.40** კონცერტი - ნ.რაჭველი, ლ. თორაძე(მალერის პირველი სიმფონია, რაველის საფ. კონცერტი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** მოკ/ფ "**ბაკურხეველი ხევსური**" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

**მაესტრო** **7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმები **8.20, 9.15** მაგთიფანი (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.30** ფარული კამერა **12.30, 22.20, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"**

**tv9** **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05** **სერიალი "ტკბილი შხამი"** **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** ანატომია **16.10** სპორტის დრო **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **19.30** ფეხბურთი სერბეთი-საქართველო **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **2.20** რაგბი **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ივლისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6556 |
| ევრო | 2,1715 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5264 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1053 |

## ამინდის პროგნოზი 23 ივლისისთვის




## თითო ოქრო და ბრინჯაო მოსკოვიდან

მოსკოვში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი „დიდი სლემი“ გაიმართა, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი ამირან პაპინაშვილი (60კგ) ჩემპიონი გახდა და 500 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. ზებედა რეხვიაშვილმა (73კგ) კი ბრინჯაოს მედალი და 200 სარეიტინგო ქულა დაისაკუთრა.



პაპინაშვილმა ფინალის გზაზე სამი მეტოქე დაამარცხა. ჰოლანდიელ ხეროენ მუურენსა და აზერბაიჯანელ ილგარ მუშკიევს იპონებით აჯობა, ხოლო სომეხ ჰოვანეს დავთიანს ვაზარი-იუკო აკმარა. გადამწყვეტ შეხვედრაში კი ბრაზილიელი ფელიპე კიტადაი ორწუთნახევარში ბრწყინვალე გდებით დააიპონა.

ზებედა რეხვიაშვილმა ჩემპიონობის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, ბელგიელ დირკ ვან ტიჩელტთან მარცხით, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა. ამ ბრძოლამდე ქართველმა ძიუდოისტმა რუსეთის ნაკრების წევრი მურატ კოძოკოვი ვაზარით დაამარცხა, ხოლო ბრაზილიელი მარსელო კონტინი – იპონით.

დამამშვიდებელი ეტაპის ნახევარფინალში ზებედა რეხვიაშვილმა ამერიკელ ნიკლას დელპოპოლოს ოთხ წუთში მოუგო. ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში კი მსოფლიოს 2009 წლის მონღოლი ჩემპიონი ცაგაანბაატარ ხაშბაატარი მშვენიერი იპონით დაამარცხა.

მოსკოვის „დიდ სლემზე“ სხვა ქართველებმაც იჭიდავეს, მაგრამ მედლის მოპოვება ვერავინ მოახერხა. ყველაზე ახლოს მედალთან ზვიად გოგოჭური (90კგ) და ლევან მატიაშვილი (მძიმე) ივნენ, რომლებმაც ბრინაჯოს მედლისთვის შეხვედრები დათმეს.

საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მე-4 ადგილზე გავიდა.

მ. ჟ.

## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 23 ივლისისთვის

**ვერძი** – მშვენიერი დღეა, წარმატებას ადვილად მიაღწევთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც ადვილად გამოგდით. **კირჩხიბი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფოლიც გექნებათ. **ლომი** – ეს დღე დიდ სიხარულს მოგიტანთ. **ქალწული** – შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, ძალიან გაგიხარდებათ. **სასწორი** – ნურავის აყვებით, ჯერ საქმის არსს ჩასწვდით. **ღრიანკალი** – საქმე კარგად წარიმართება, კმაყოფილი დარჩებით. **მშვილდოსანი** – ნურავის ენდობით, ყური მიუგდეთ გულისთქმას. **თხის რქა** – საინტერესო შეხვედრა ისე წარიმართება, როგორც თქვენ გსურთ. **მერწყული** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** – არ ინერვიულოთ, პრობლემას მოევლება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ადგილმდებარეობის გეოგრაფიული სახელწოდება; 4. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი შუა-საუკუნეების აჭარაში; 5. პირველი ქართველი დიდოსტატი მამაკაცი ჭადრაკში; 6. ბაზარში დაწესებული ფასი; 11. პოპულარული ტანსაცმელი; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კონცერნი; 14. ოქროს ან ვერცხლის მავთულისგან დამზადებული ნაკეთობა; 15. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეების ვალდებულებას; 17. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 18. მთიანეთი ევროპაში; 19. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა.

**თარაზულად:** 7. დიდი საზღვაო სატრანსპორტო სამგზავრო გემი; 8. მრავალი ფერის გამოყენება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 9. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. ერთ-ერთი ხმა ქართულ სიმღერაში; 12. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსაკვლევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 14. წყლის საღებავებით შესრულებული ნახატი კედელზე; 16. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 18. იტალიური კომედიის ტრადიციული პერსონაჟი; 20. დამარილებული ღორის ქონი; 21. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 22. ნივთიერების აგებულების თავისებურება, რომელიც განპირობებულია მისი შემადგენელი ნაწილაკებისა და ფენების განლაგებით; 23. კამეჩის ნაშიერი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ქეთი მელუას ახალი ალბომი – „ქეთევანი“

ეკა ირემაშვილი

დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ახალ ალბომზე მუშაობს. მომღერლის გადაწყვეტილებით, ახალი ალბომის სახელწოდება „ქეთევანი“ იქნება. ახალი სიმღერებით დატვირთული ალბომი გაყიდვაში 16 სექტემბრიდან გამოჩნდება.

როგორც მომღერალი აცხადებს, 16 სექტემბერი მან საგანგებოდ შეარჩია – ახალი ალბომი მისსივე დაბადების დღეზე გამოიცემა. „ქეთევანი მომღერლის რიგით მეექვსე ალბომია. მომღერალმა ახალ გამოცემასთან დაკავშირებით, სხვა დეტალებიც გაახმაურა და სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ალბომის გარეკანის ფოტო გამოაქვეყნა. მან ასევე საჯარო გახადა თავისი სინგლიც.

როგორც ქეთი მელუას ოფიციალურ საიტზეა ნათქვამი, დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი პრეზენტაციის შემდეგ, დისკის გაყიდვა მთელი ევროპის მასშტაბით დაიწყება.

ახალ ალბომზე მუშაობის პარალელურად, ქართველმა მომღერალმა, რომელიც დედოფალ ელისაბედ მეორის საყვარელ მომღერლად არის მიჩნეული, თავისი ქმარიც აამღერა. ცნობილია, რომ მოტომრბოლელი ჯეიმს ტაუზლენდი სპორტის შემდეგ დიდ დროს მუსიკას უთმობს და მას თავის პირველ სიყვარულსაც უწოდებს. ამჯერად სპორტსმენი მთლიანად მუსიკით არის დაკავებული და სოლოკარიერის შექმნის სურვილიც აქვს. ქეთი მელუას მეუღლეს უკვე ჰყავს თავისი ბენდი – „ტაუზლენდბენდი“, რომელიც ინტერნეტსივრცეში პოპულარულია. სწორედ ინტერნეტსივრცეში შედგა ახალი სიმღერის „ცხოვრება მშვენიერია“ პრემიერა.

საიტის „ტაუზელანდმიუზიკ.ქომ“ ინფორმაციით, ჯეიმს ტაუზლენდის ბენდში 5 წევრია, მათ შორისაა ქეთი მელუას ძმა ზურაბი. ზურაბ მელუა როკ-მუსიკით არის გატაცებული და სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ბენდში უკრავდა. ის წარმატებულ გიტარისტად არის მიჩნეული. ქეთი მელუას ძმა გიტარაზე 14 წლიდან უკრავს. ის „ტაუზენდბენდის“ უცვლელი წევრია.

დასავლური მედიის ცნობით, ქეთი მელუა მეუღლის მუსიკალური კარიერის შექმნაში აქტიურადაა ჩართული. პაპარაცები ქეთის ხშირად ხედავენ სტუდიაში, სადაც მისი მეუღლე და ძმა მუშაობენ.




როგორც ჩანს, არ გამართლდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქეთი მელუა ქმარს გაშორდა. ვებსაიტის „მედიამასს.ნეტ“ ინფორმაციით, ამ საკითხზე ჟურნალისტებმა ქეთის წარმომადგენლისგან ოფიციალური კომენტარის მიღება ვერ შეძლეს.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი, 28 წლის ქეთი მელუა ქმარს, მოტომრბოლელ ჯეიმს ტაუზლენდს დაშორდა. ბოროტი ხმები ამტკიცებდნენ, რომ ვარსკვლავი კვლავ მარტოა. თაყვანისმცემლები ბოლო რამდენიმე დღე ქეთის მარტოს ხედავდნენ. ქეთისა და ჯეიმსის დაშორების შესახებ ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა, რასაც წინ უსწრებდა ინფორმაცია ქეთი მელუას გარდაცვალების შესახებ.

წყვილი 2012 წლის პირველ სექტემბერს დაქორწინდა. ცერემონია საკმაოდ უჩვეულოდ – ლონდონის დასავლეთით, კევში, სამეფო ბაღებში მდებარე კონსერვატორიაში გაიმართა.

გამოცემა „სანის“ ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ქეთი მელუა დასავლეთ ლონდონში ქუჩაში გაძარცვეს. მძარცველებმა მას ტელეფონი აიფონი მაშინ წაართვეს, როდესაც ვარსკვლავი რუკის აპლიკაციის დახმარებით საკუთარი საცხოვრებლის მოძებნას ცდილობდა. უცხოური მედიის ცნობით, ქეთი მელუა ნოთინგ ჰილში ჩამწერი სტუდიიდან გამოვიდა, სადაც მთელი დღე დაჰყო. ვარსკვლავი „ჰოლანდ პარკში“, საკუთარი სახლისკენ გზის გაკვლევას ტელეფონში ჩაწერილი აპლიკაციის დახმარებით ცდილობდა.

– ჩემს უკან სირბილის ხმა გავიგონე, შემოტრიალებას ვაპირებდი, ვიგრძენი ტელეფონი ხელიდან როგორ ამასხლიტეს. დამფრთხალი და გაოგნებული ვიყავი, – განაცხადა ძარცვის შემდეგ ქართველმა მომღერალმა.

## როდის დაბრუნდება ბუბა კიკაბიძე რუსეთში?

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოსა და ესტრადის ვარსკვლავი ბუბა კიკაბიძე წელს 75 წლის იუბილეს ზეიმობს. ეს მრგვალი თარიღი მან მეგობრების გარემოცვაში აღნიშნა. მისი იუბილე ქართველ ჟურნალისტებთან ერთად არც რუს ჟურნალისტებს დავიწყებიათ. სააგენტო „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მომღერალმა აღნიშნა, რომ:

– ასაკი სერიოზული რამ არის.

მომღერალს კითხვა რუსეთში კონცერტების გამართვასთან დაკავშირებითაც დაუსვეს, რაზეც მან განაცხადა, რომ ის რუსეთში არ დაბრუნდება, თუმცა ისიც დაამატა, რომ დაბრუნდებოდა რუსეთში, თუკი მისი იქ ყოფნა „რაიმეს შეცვლიდა“ მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში.

ბუბა კიკაბიძემ რუსეთში კონცერტების გამართვაზე უარი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთის



მხრიდან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ შეწყვიტა.

– თუ ჩემი ყოფნა რაიმეს შეცვლის, მე დღესვე გავემგზავრებოდი. მომღერალმა სიამოვნება უნდა მიანიჭოს, მე კი მოტყუება არ შემიძლია. თუ გავემგზავრები, ვიმღერებ და უკან დავიწყებ ყურებას, გამოვა, რომ ვიტყუები, ეს კი არ მესიამოვნება. და თუ მე არ მსიამოვნებს, არ სიამოვნებს მსმენელსაც, – განუცხადა ბუბა კიკაბიძემ სააგენტო „რია ნოვსტის“ წარმომადგენელს.

იუბილარ ხელოვანს არც ის დაუმალავს, რომ რუსი ხალხი ენატრება:

– მენატრება რუსი ხალხი და სურვილი მაქვს, რომ მალე დალაგდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობა. რუსეთში ყოველთვის მეპატიჟებიან. ვიცი, რომ რუსეთში ძალიან ვუყვარვარ. მაგრამ ხალხზე არ არის საუბარი, არამედ პოლიტიკაზე. ქვეყნებს შორის ბარიერი კი ხელოვნურად არის შექმნილი.

იუბილარი მომღერლის თქმით:

– ვერ მოვძებნე კარგი გამომცემლობა მემუარებისათვის და რეჟისორი, რომელსაც ვანდობდი სცენარს სახელწოდებით „დიაგნოზი-ქართველები“.

შეგახსენებთ, რომ ბუბა კიკაბიძე ამ სცენართან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა რეჟისორ ელდარ შენგელიასთან, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ელდარ შენგელაია აცხადებდა, რომ 5 წლიანი პაუზის შემდეგ შესაძლოა კინოში დაბრუნებულიყო, თუმცა რა შედეგები მოიტანა ამ მოლაპარაკებებმა, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

## ნანი ბრეგვაძეს იუბილე ალექსანდრე ლუკაშენკომ მიულოცა

ეკა ირემაშვილი

ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე თავის მორიგ დაბადების დღეს ტრადიციულად შეხვდა. ამ დღესთან დაკავშირებით მას სააგენტო „რია ნოვოსტის“ ჟურნალისტი დაუკავშირდა. მომღერალს არ დაუმალავს, რომ მას წელს 77 წელი შეუსრულდა, თუმცა მისი დაბადების თარიღი დღემდე დავის საგნად რჩება:

– ძველ პასპორტში დაბადების წელი შეცდომით ეწერა – 1938 წლის 21 ივნისი. ახალ დოკუმენტებში კი შეცდომა გამოასწორეს და 1936 წელი ჩამიწერეს, თუმცა ივნისი მაინც შეცდომით დარჩა. მართალი გითხრათ, სულ ერთია, პასპორტში რას ჩაწერენ – არც ვიპრანჭები და არც გათხოვებას ვაპირებ. პირიქით, მიხარია, რომ ამ ასაკში ჯანმრთელი ვარ, მუშაობა შემიძლია და რაც მთავარია, ისევ ვმღერი.

ნანი ბრეგვაძე არ მალავს, რომ თავის ასაკზე საუბარი არ უყვარს, თუმცა განმარტებებს სიამოვნებით აკეთებს.

– ჩემი დაბადების დღეები არასოდეს გამოირჩეოდა ხმაურით. წელსაც ასე მოხდა – ყველაფერმა მშვიდად და უხმაუროდ ჩაიარა. ჟურნალისტები რომ არა, ეს დღე არც გამახსენდებოდა. თქვენი წყალობით ასაკს ვერ ვივიწყებ. ყოველ წელს მახსენებთ, რამდენი წლის ვარ.



კითხვაზე, უყვარს თუ არა საჩუქრები, მომღერალი ასე პასუხობს:

– დაბადების დღის საჩუქრებზე უარს ვამბობ. ყვავილების მიღებაც არ მიყვარს, გული მტკივა, რამდენიმე დღეში დამჭკნარ თაიგულს ნაგავში რომ ვაგდებ.

ნანი ბრეგვაძეს იუბილე ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა:

– თქვენი შემოქმედება თანამედროვე ესტრადის ისტორიაში ყველაზე კაშკაშა ფურცელია. თქვენი შესანიშნავი ხმისა და საშემსრულებლო ნიჭის წყალობით, მსოფლიოში დამსახურებული აღიარება მოიპოვეთ, – აღნიშნულია ლუკაშენკოს მილოცვაში, რომელიც ბელორუსის პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა.